www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2012 წელი. | №3056 (149) | ფასი 50 თეთრი

ხალხის გაანწყობა და არა სტატისტიკა

პარლამენტმა მხარი დაუჭირა ახალ მტავრობას და მის პროგრამას

დათო გამისონია

ვანო მერაბიშვილმა მთავრობის ახალი პროგრამა - "მეტი სარგებელი ხალხს" - გუშინ პარლამენტს რიგგარეშე სხდომაზე გააცნო. მომავალმა პრემიერმა, განახლებული მთავრობის პრიორიტეტებზე საუბრისას, აღნიშნა, რომ მისი პირადი ოცნება საქართველოში ძლიერი, მდიდარი სოფელია, რაც საქართველოს სახელმწიფოს სიძლიერის საწინდარი იქნება. ამავდროულად, ვანო მერაბიშვილმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გაიხსენა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვანო მერაბიშვილი: "მთავრობა ამ წუთიდან იწყებს მუშაობას"

"კრისტალის" ხელმძღვანელი დაპატიმრებულია

ლილოში ქლორით მოწამვლის საფრთხე აღარ არსებობს

"ლილოში ჰაერი ამ დროისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა, მოწამვლის საფრთხე აღარ არსებობს," - ასეთია გარემოს დაცვის მინისტრისა და შესაბამისი სამსახურების ბოლო ინფორმაცია. გუშინწინ, გვიან ღამით, ლილოს დასახლებაში, ერთ-ერთ კერძო საწარმოში მოთავსებული ავზიდან ქლორმა გაჟონა.

ინციდენტის შედეგად 73 ადამიანი მოიწამლა, მათ შორის - ორსული ქალბატონი და მცირეწლოვანები. მოწამლულები ხუთ სხვადასხვა საავადმყოფოში გადაანაწილეს. მათმა დიდმა ნაწილმა, შესაბამისი სამედიცინო დახმარების შემდეგ, გუშინ საღამოს დატოვა სტაციონარი. დაშავებულთა შორის იყვნენ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებიც. მომხდარი ინციდენტიდან ერთ საათში, დაშავებულები პრეზიდენტმა და ჯანდაცვის მინისტრმა მოინახულეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

არეულობა უკრაინაში სახელმწიფო ენის დასაცავად

ივა შილაკაძე

უკრაინის უმაღლესმა რადამ მეორე მოსმენით "მიიღო" სკანდალური კანონი "სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის საფუძვლების შესახებ," რომელიც რუსულ ენას თითქმის ანიჭებს მეორე სახელმწიფო ენის სტატუსს. ამან სერიოზული შეხლა-შემოხლა, მათ შორის ხელჩართული ჩხუბიც, გამოიწვია როგორც პარლამენტში, ასევე ქუჩაში, დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

სახიფათო მანევრები სპარსეთის ყურეში

ხათუნა გაბიევი

ამერიკის შეერთებული შტატები ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან საიდუმლო მოლაპარაკებებისთვის ემზადება, თანაც სპარსეთის ყურეში სამხედრო ძალების გაძლიერებული მობილიზაცია ხდება. ამის შესახებ ცნობები უცხოურ მედიაში სულ უფრო აქტიურად ჩნდება.

ბოლო თვეების განმავლობაში სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვაში მუდმივად იმყოფება ორი შემტევი საარმიო დაჯგუფება, მათ შორის, ორი ბირთვული ავიამზიდი, რომლებზეც თითოეულზე 48 მოიერიშე-გამანადგურებელია განთავსებული. ასევე ორივე ჯგუფში ირიცხება ორი სარაკეტო კრეისერი და ორი ბირთვული წყალქვეშა ნავი. თითოეული სანაოსნო ჯგუფის განკარგულებაშია, სულ მცირე, 1 600 კილომეტრზე მოქმედი 100 ფრთოსანი რაკეტა. ამავე რეგიონში იმყოფება უკვე საექსპედიციო შემტევი ჯგუფი სამი სადესანტო ხომალდით.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6449⇓
1 ევრო	2.0696⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5787⇓
1 თურქული ლირა	0.9136⇓
100 რუსული რუბლი	5.0645⇓

თბილისი	32°C - 20°C
ქუთაისი	28°C - 18°C
თელავი	32°C - 16°C
ზუგდიდი	27°C - 17°C
ბათუმი	25°C - 16°C

ნავთობი	2.74	-0.02	-0.80%
გაზი	2.94	+0.04	+1.26%
ოქრო	1,615.50	-6.30	-0.39%
ხორბალი	799.25	+26.75	+3.35%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

ვინ მიდის ფაჩულიასთან?

ალექსანდრე ასათიანი

"ატლანტაში" რაღაცები იცვლება. დიდმა ბოსებმა პატარა ბოსებს დაუძახეს, ყური აუწიეს, პერსპექტივაზე ილაპარაკეს და დაიწყო გაცვლები. ზაზა ფაჩულიას ატლანტაში ახალი "ატლანტა" დახვდება. ძველზე უკეთესი თუ უარესი, სხვა თემაა. უბრალოდ, ახალი და, ალბათ, ამ "ჰოქსის" მომავალში ჩვენი ცენტრიც ჯდება. ზაზა საქართველოს ნაკრებთან ერთად საქმეს გააკეთებს, ბოსნიებს და ლატვიებს წაესპარინგება და მერე რეალური გარჩევები დაიწყება. გარჩევები ამერიკული რესტლინგის ელემენტებით. ერთი-ერთზე გარჩევები და ფაჩულიამ მეტი დრო უნდა მიიღოს. მიიღებს კიდეც.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ზაზა ფაჩულიას ატლანტაში ახალი "ატლანტა" დახვდება

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

თბილისის მერმა ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია გამართა

გიგი უგულავამ გუშინ ახალი ვებგვერდის- www.chemitbilisi.com - პრეზენტაცია გამართა და პროექტის დეტალებზე ისაუბრა. გიგი უგულავას თქმით, თბილისელებს შესაძლებლობა აქვთ, ქალაქის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ. ამისთვის საჭიროა, ნებისმიერი დაინტერესებული პირი დარეგისტრირდეს ახალ ვებგვერდზე, დააფიქსიროს საკუთარი იდეა, მოიპოვოს თბილისელების მხარდაჭერა და სასურველი პროექტი განახორციელოს.

იდეა, რომელსაც ყველაზე მეტი მხარდამჭერი ეყოლება, მერიის დახმარებით უმოკლეს ვადაში განხორციელდება. დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, პროექტი მიზნად ისახავს, მაქსიმალურად მოერგოს თბილისელების ინტერესებს ყველა ის სიკეთე, რომელთა განხორციელებაც თვითმმართველობას ქალაქში შეუძლია.

"ახალი ინიციატივა დამატებითი ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც თბილისის მერია უფრო ეფექტურ ნაბიჯებს გადადგამს ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, როგორიც არის დასაქმება, ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გამწვანება და კეთილმოწყობა. თითოეული მხარდაჭერილი იდეა მერიის შესაბამის სამსახურში დაუყოვნებლივ განიხილება," - აცხადებს თბილისის მერი.

საგარეო უწყება განცხადებას ავრცელებს

გაერო-ს გენერალური ასამბლეის 3 ივლისის რეზოლუციის შესახებ, რომელიც ქართველ დევნილებს შეეხებათ, საქართველოს საგარეო უწყება განცხადებას ავრცელებს.

"გენერალურმა ასამბლეამ მსგავსი რეზოლუცია პირველად 2008 წელს მიიღო და მას შემდეგ ყოველწლიურად ადასტურებს ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში ნებაყოფლობითი, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების აუცილებლობას. რეზოლუცია ასევე ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლების დაცვასა და პატივისცემაზე. რეზოლუცია გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს და მოუწოდებს ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს, გააააქტიურონ ძალისხმევა დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია, რომ რეზოლუცია ავალდებულებს გაერო-ს გენერალურ მდივანს, ყოველწლიურად მოახსენოს გენერალურ ასამბლეას დევნილი მოსახლეობის ირგვლივ არსებული მდგომარეობის შესახებ. გენერალური მდივნის შემდეგი მოხსენება აღნიშნულ საკითხზე 2013 წელს გამოვა," - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, რეზოლუცია ყურადღებას ამახვილებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჰუმანიტარული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობაზე. ვაშაძის უწყების შეფასებით, აღნიშნული დებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, რომ რუსეთის ფედერაცია და მისი საოკუპაციო რეჟიმები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლის ბლოკირებას განაგრძობენ.

"რეზოლუციის მხარდამჭერთა ზრდის პოზიტიური დინამიკა ადასტურებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან იმ ჰუმანიტარული კატასტროფის მზარდ გაცნობიერებას, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ძალადობრივი დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად შეიქმნა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რეზოლუციას იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების დაბრუნების უფლების შესახებ," - ნათქვამია განცხადებაში.

შოთა უტიაშვილმა შსს დატოვა

შოთა უტიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი აღარ არის. ამის შესახებ "ინტერესპრესნიუსი" თავად უტიაშვილის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

უტიაშვილის განმარტებით, თავისი მომავალი სამუშაო ადგილის შესახებ ჯერ ინფორმაცია არა აქვს და არც ის იცის, ვინ დაიკავებს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას.

შსს-ში საკადრო ცვლილებები მინისტრის შეცვლას მოჰყვა.

დემოკრატიული რეფორმების ინდიკატორი არჩევნები იქნება

ჰერმან ვან რომპეის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

მაგდა ლეკიაშვილი

ევროკავშირის პრეზიდენტთა საბჭოს თავმჯდომარე ჰერმან ვან რომპეი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს გუშინ ეწვია. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქართველო მუდმივად ცდილობს, ევროკავშირთან ყველანაირ ფორმატში სისტემატური ურთიერთობა ჰქონდეს. საქართველო არსებულ კონფლიქტურ ვითარებაში აქცენტს აკეთებს ქვეყანაში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყოფნაზე - ამჟამად მისია მანდატს სრულად ვერ ახორციელებს.

რომპეი საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარ რეზიდენციაში მიიღო. მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. რომპეი თავისი თანამდებობის ფარგლებში საქართველოში პირველად იმყოფება. პრეზიდენტთან შეხვედრას მან საინტერესო უწოდა და ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე გაამახვილა. ევროპული საბჭოს ხელმძღვანელი ამბობს, რომ საქართველომ მოდერნიზაციის და რეფორმების გზაზე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ქვეყანაში ძლიერდება სახელმწიფო ინსტიტუტები და ყველაფერს აკეთებს ხელისუფლება ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. რომპეის შეფასებით, საქართველო ამ მიმართულებით რეგიონში მაგალითადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ევროპელმა ლიდერმა გაამახვილა ყურადღება, საქართველოსა და ევროკავშირის უთიერთობას ეხება. რომპეის შეფასებით, ურთიერთობა უფრო და უფრო ღრმავდება, პროგრესია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ვიზების ლიბერალიზაციისთვისაც. ევროპული საბჭოს ხელმძღვანელის თქმით, თუკი საქართველო კიდევ უფრო მეტ რეფორმას გაატარებს, ევროკავშირი მას მეტად დაეხმარება. რომპეის შეფასებით, მომავალი არჩევნები იმ რეფორმების ინდიკატორი იქნება, რომლებზეც აქვს პრეტენზია ქვეყანას.

"მივესალმები პრეზიდენტის ინიციატივას, რაც შეიძლება მეტი დამკვირვებელი ჩამოიყვანოს წინასაარჩევნო პროცესზე დასაკვირვებლად. მოვუწოდებ პოლიტიკოსებს, გამართონ დებატები მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე. სამართლიანი არჩევნები ლეგიტიმური შედეგების ფუნდამენტური პრინციპია," - განაცხადა ჰერმან ვან რომპეიმ. ევროპული საბჭოს ხელმძღვანელი აღმოსავლეთ პარტნიორობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობის პატივისცემას ემყარება.

ევროკავშირი ასევე ძლიერ არის დაინტერესებული საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის მოგვარებით. როგორც რომპეი ამბობს, ამ პროცესში ევროკავშირი ერთერთ მთავარ მონაწილედ დარჩება. გაერთიანება მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

"საქართველოსა და რუსეთს ურთიერთობის ნორმალიზებისთვის გზების მონახვა სჭირდებათ. ორივე მხარემ უნდა აიღოს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულება. იმედს გამოვთქვამ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება," - განაცხადა ევროპული საბჭოს ხელმძღვანელმა.

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის. ასევე იმისთვის, რომ ევროკავშირი რუსეთს ყოველთვის მოუწოდებს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და რუსული სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიიდან გაიყვანოს. პრეზიდენტმა საქართველო ევროკავშირის ურთიერთობებზეც ისაუბრა. მისი თქმით, არაკორუმპირებული გარემო და პოლიტიკიდან ფულის გამიჯვნა, ხალხის ნებასა და არა მოსყიდვასა და დაშინებაზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესები, ქართულ-ევროპული ორიენტაციის მყარ საფუძველს წარმოადგენს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკების საკითხებში წინ წაიწია. მოლაპარაკების წარმატებით დასრულება კი საქართველოში დამატებით ათობით ათასი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს.

"ნაბიჯები გადავდგით ასევე ვიზების ლიბერალიზაციის საკითხში. ეს ნიშნავს იმას, რომ უახლოეს პერიოდში ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა გვექნება. ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომ ევროკავშირთან სრულფასოვან წევრობაზე მოლაპარაკების დაწყება შევძლოთ. საქართველოს ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები ელის. ევროკავშირიდან ბევრ დამკვირვებელს ვპატიჟებთ. გვინდა, რომ ევროკავშირმა აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში, რომლებიც უნდა იყოს გამჭვირვალე და გახსნილი, მანიპულაციებისა და მოსყიდვისგან გაწმენდილი, მით უმეტეს - უცხოეთიდან შემოსული ფულისგან. ჩვენ თავისუფალი ნების დაფიქსირება უნდა შევძლოთ," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

"კრისტალის" ხელმძღვანელი დაპატიმრებულია

ზურაბ ჭიაბერაშვილის გაცხადებით, თითოეული დაშავებულის სამკურნალო ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ექიმების განმარტებით, კვლავ მძიმე რჩება ერთ-ერთი მოწამლულის, 18 წლის ლაშა ნარიმანიძის მდომარეობა. ექიმებს პაციენტის გამოჯანმრთელების თაობაზე საიმედო პროგნოზის გაკეთება უჭირთ.

ლილოს დასახლებაში მდებარე ობიექტი, საიდანაც ქლორის გაჟონვა მოხდა, დალუქულია. მომხდართან დაკავშირებით, გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 240-ე მუხლით. "სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება," - ასეა განმარტებული კოდექსში 240-ე მუხლი. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, ეს მუხლი 288-ე მუხლით გადაკვალიფიცირდეს, რაც ბუნებისთვის არასასურველ ნივთიერებასთან არასათანადო მოპყრობას გულისხმობს.

როგორც გაირკვა, 800-ლიტრიანი ქიმიური ავზი, საიდანაც ქლორის გაჟონვა მოხდა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კონტრაქტორ ფირმას, შპს " კრისტალს" ეკუთვნის. კომპანია "კრისტალის" ხელმძღვანელი ლევან დათუაშვილი სამართალდამცველებმა დააკავეს და მას სასამართლომ გუშინ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

სამართალდამცველებს შეკითხვები გაუჩნდათ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან, სადაც განმარტავენ, რომ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 2012 წლის 3 იანვარს გამოაცხადა ტენდერი თხევადი ქლორის შესყიდვასთან დაკავშირებით. ტენდერი 2012 წლის 24 იანვარს დასრულდა და შპს "კრისტალმა" გაიმარჯვა.

წყალმომარაგების კომპანიაში ასევე განმარტავენ, რომ "კრისტალი" სრულიად აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და, შესაბამისად, გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ "კრისტალთან" 2012 წლის 8 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება.

"ხელშეკრულების თანახმად, შპს "კრისტალს" 2012 წლის 8 თებერვლიდან 2012 წლის 20 დეკემბრამდე ეტაპობრივად უნდა განეხორციელებინა 50 ტონა თხევადი ქლორის მოწოდება შესაბამისი კონტეინერით. კონტრაქტის პირობით, ქლორის ტრანსპორტირებაზე, უსაფრთხოებასა და ქლორის ხარისხზე პასუხიმგებლობა ეკისრებოდა შპს "კრისტალს". ხელშეკრულების შესაბამისად, დღემდე "კრისტალმა" გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ეტაპობრივად სამჯერ მიაწოდა თხევადი ქლორი," - აცხადებენ წყალმომარაგების კომპანიაში და ირწმუნებიან, რომ ლილოში მომხდარ შემთხვევაზე სრული პასუხისმგებლობა შპს "კრისტალს" ეკისრება.

ამჟამად, ქლორის ავზი, "საქნავთის" ტერიტორიიდან დაუსახლებელ, უსაფრთხო ადგილზეა გადატანილი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ხალხის განწყობა და არა სტატისტიკა

პირველი გვერდიდან

"ჩემი ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდი შინაგან საქმეთა მინისტრობას უკავშირდება, - აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა. პრემიერ-მინისტრმა შინაგან საქმეთა ახალ მინისტრზეც ისაუბრა: **"ბაჩოსთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობა და არსებული დონის შენარჩუნებაც კი ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბაჩოს მუშაობა აჩვენებს, რომ პოლიციაში გატარებული რეფორმა მტკიცეა. ყველა დაინახავს, რომ საკადრო ცვლილება რეფორმაზე გავლენას არ ახდენს."**

პრემიერ-მინისტრად დამტკიცებამდე ვანო მერაბიშვილმა საქმიანობის შეფასების თავისეული კრიტერიუმის შესახებაც ისაუბრა. როგორც მერაბიშვილი აღნიშნავს, მთავარია ხალხის განწყობა და არა სტატისტიკური მონაცემები.

"სტატისტიკა გამოგვადგება ბუღალტრული ბალანსისთვის. ჩემთვის მთავარია შედეგი და კონკრეტული ადამიანების შეხედულებები, ხოლო რიცხვები არაფერზე მეტყველებს, თუ მათ უკან განწყობა არ დგას. შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მე არასოდეს ვინტერესდებოდი და ვკითხულობდი სტატისტიკურ მონაცემებს. მაგრამ საზოგადოების განწყობა პოლიციის რეფორმის მიმართ აშკარა იყო," - ამბობს ვანო მერაბიშვილი.

მერაბიშვილის განცხადება ოპოზიციის კრიტიკის საგანი გახდა. როგორც ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე აღნიშნა, მერაბიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მას სტატისტიკა არ აინტერესებს, 30-იანი წლების გამოთქმას ჰგავს: "თუ რიცხვები ჩვენს წინააღმდეგ არის, მით უარესი ამ რიცხვებისთვის."

მერაბიშვილმა ვეფხვაძეს უპასუხა, რომ 30-იანი წლების ლიტერატურას ნაკლებად იცნობს, რადგან ეს არასდროს აინტერესებდა. **"არ ვიცი, 30-იან წლებში რას ამბობდნენ. ჩემთვის მთავარია განწყობა და არა რიცხვები, რადგან რიცხვები არაფერზე მეტყველებს თუ მათ უკან არ დგას განწყობა და რეალური შეგრძნება. კვალავაც ვიტყვი, რომ ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება სტატისკური მონაცემები,"** - დასძინა მერაბიშვილმა.

"ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიას აზრით კი, საქართველოში ხალხის დაუსაქმებლობის მიზეზი ის არის, რომ ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის რეპრესიების შედეგად არაერთი ბიზნესი დაიხურა. **"კომპანიების წინააღმდეგ რეპრესიები მიმდინარეობს. ბიზნესის ყველა დარგში მონოპოლია შექმენით. კრიმინალურ "ობშიაკს" აგროვებენ, რომელიც პრეზიდენტთან იყრის თავს. თქვენ კომპანიები გააკოტრეთ. ამის გამო ქართული ფული და ინტელექტი უცხოეთში გადის,"** - მიმართა რიგგარეშე სხდომაზე ვანო მერაბიშვილს ჯონდი ბაღათურიამ.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, კეთილდღეობამ მხოლოდ მაღალჩინოსნების ოჯახებში შეაღწია, მოსახლეობა კი კვლავ სიღატაკესა და უსამართლობაში ცხოვრობს. **"არ დარჩენილა ადამიანი, რომელსაც ოჯახის წევრი ან ნათესავი დაპატიმრებული არ ჰყავდეს. ციხეები გადატენილია,"** - ამბობს ჯონდი ბაღათურია. ოპოზიციონერმა დასაქმების სახელმწიფო მინისტრობის ჯერ კიდევ კანდიდატის პაატა ტრაპაიძის შესახებაც ისაუბრა. **"აქ მინისტრად გყავთ წარმოდგენილი კაცი, რომელმაც სახლში დიდი ფული წაიღო. ის მთავრობის დაკვეთილ პროექტებს ასრულებდა,"** - ამბობს ჯონდი ბაღათურია, რომელსაც დასაქმების მინისტრის ახალი აპარატის ჩამოყალიბება სიზმრების მინისტრს აგონებს.

"ქართული დასის" ლიდერმა ვანო მერაბიშვილს მეორედ დაუსვა ის კითხვა, რომელზე პასუხიც, არაერთი მცდელობის მიუხედავად, გილაურის მთავრობისგან ვერ მიიღო. **"რამდენი დაიხარჯა პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაზე? ხარჯები რომელი წლის სახელმწიფო ბიუჯეტშია გაწერილი?"** - კითხულობს ჯონდი ბაღათურია.

ოპოზიციონერს ვანო მერაბიშვილმა კითხვებზე არ უპასუხა. რაც შეეხება ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას შენიშვნას, რომელიც დევნილების გამოსახლებისას ადამიანის უფლებების დარღვევებს ეხებოდა, ვანო მერაბიშვილი ასე გამოეხმაურა: **"ვაღიარებ, რომ დევნილების განსახლების, მათთვის სახლების მშენებლობის პროცესში, უსამართლობა ხშირად ხდებოდა და ამის გამოსასწორებლად აქტიურად ვითანამშრომლებთ. ყველა მინისტრი თითოეული დეპუტატის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ყურადღებით მოეკიდება. ასევე, ყურადღებით ვიქნებით ნებისმიერი მოქალაქის, პრესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შენიშვნებზე."**

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ვანო მერაბიშვილს უსაყვედურა, რომ სამთავრობო პროგრამაში ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გათვალისწინებული არ არის.

"დღეს საქართველოში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ქვეყნის 4-წლიანი მომავალის შესახებ მსჯელობს და ქვეყნის მთავარ სატკივარს - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ერთი სიტყვითაც არ ახსენებს. ეს საქართველოს პოლიტიკის, ცხოვრების, მომავლის და აწმყოს ყველაზე მტკივნეული ნაწილია," - ამბობს გიორგი თარგამაძე.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი ამბობს, რომ პარლამენტში, მთავრობის ნაცვლად, საარჩევნო შტაბი იმყოფება. თუმცა, მისი მტკიცებით, მთავრობის პროგრამა საარჩევნოდაც კი არ არის მომზადებული.

"პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი პოლიტიკური ძალა დაფიქრდებოდა, რომ უმუშევრობასთან, დასაქმებასთან და კუჭის სატკივართან ერთად, ამ ქვეყანაში ცხოვრობს ის ხალხი, ვისთვისაც ეროვნული სახელმწიფოს, თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების აშენება, ქვეყნის გაერთიანება და გამთლიანება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 1000-ლარიანი ვაუჩერით ადამიანების მოხიბლვა," - ამბობს გიორგი თარგამაძე.

თარგამაძემ, ხელისუფლებასთან ერთად, მისი პოლიტიკური ოპონენტებიც გააკრიტიკა და მინიშნება ბიძინა ივანიშვილზე გააკეთა.

თარგამაძის თქმით, მერაბიშვილმა საკუთარი შარმითა და მენეჯერული თვისებებით ისე მოხიბლა ძველი მეგობარი და ერთერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, რომ იგი მერაბიშვილს დღემდე დადებითად ახასიათებს.

"მე მერაბიშვილის მენეჯერულ თვისებებზე განსხვავებული მოსაზრება მაქვს. ამის "კარგ მაგალითად" 2008 წელს დევნილებისთვის საცხოვრებლების აშენებაც გამოდგება," - ამბობს თარგამაძე.

ოპოზიცია მერაბიშვილის დასაქმების პროგრამის მიმართაც სკეპტიკურად არის განწყობილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა კი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში პარლამენტში დებატების სულისკვეთება უცვლელია. **"ოპოზიცია მუდმივად დრამატული ტონით გვეკითხება: ამა თუ იმ საკითხზე იღებთ პასუხისმგებლობას? ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაარკვიოთ, რომ დიახ, ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ ქვეყანაში ყველა ურთულეს პრობლემაზე და თქვენ პასუხისმგებლობას არ იღებთ,"** - მიმართავს ოპოზიციას გოკა გაბაშვილი.

გაბაშვილის აზრით, პარლამენტის დარბაზში ოპოზიციონერთა მხრიდან პასუხისმგებლობაზე საუბარი უცნაურია. **"ოპოზიციონერები ასევე გვეკითხებოდნენ - იღებთ პასუხისმგებლობას ქურდულ სამყაროსთან ბრძოლაში? მაშინ სხვა შემადგენლობის ოპოზიცია ამ კანონს მხარს არ უჭერდა. ქურდული სამყარო საზოგადოების ყველა სფეროში იყო გამჯდარი, თუმცა ოპოზიცია მაშინაც დრამატული ტონით გვეკითხებოდა - იღებთ პასუხისმგებლობას? დიახ, ჩვენ პასუხისმგებლობა ავიღეთ და ამ ქვეყანაში ქურდული სამყარო დამარცხებულია,"** - ამბობს გოკა გაბაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თქმით, ოპოზიციას ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ კანონების მიღებისას. როგორც გაბაშვილი ამბობს, ახლა ოპოზიცია ასეთივე დრამატული ტონით კითხულობს, იღებს თუ არა ხელისუფლება პასუხისმგებლობას უმუშევრობის დამარცხებაზე. **"ჩვენი პასუხია: დიახ, უმუშევრობას ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხებთ. უმუშევრობა სახელმწიფოსთვის ისეთივე დამანგრეველია, როგორც კორუფცია და კრიმინალი,"** - აღნიშნავს გოკა გაბაშვილი.

პარლამენტმა განახლებული მთავრობა და მისი პროგრამა დაამტკიცა. კენჭისყრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მედიასთან მოკლე კომენტარი გააკეთა. **"ამ წუთიდან, მთავრობის წევრებთან ერთად, პროგრამის აღსრულებას ვიწყებთ. თითოეულ რეგიონში, ქალაქსა და სოფელში ხალხს სამთავრობო პროგრამას გავაცნობთ. პროგრამა უმუშევრობის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას ითვალისწინებს,** - აცხადებს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და მედიას მიმართავს, - **პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობას ვაპირებ და ჩვენს გეგმებს მოსახლეობას თქვენი მეშვეობით წარვუდგენთ."**

ირაკლი ალასანია: "ხელისუფლების მიზანი ჩვენი წონასწორობიდან გამოყვანაა"

კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფლის მცხოვრებლებს შეხვდა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ალასანიამ მათ განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის სფეროების ხელშეწყობისა და დასაქმების შესახებ "ქართული ოცნების" პროგრამა გააცნო.

ამასთან, ალასანიამ კომენტარი გააკეთა პროექტ "კარდაკარის" სენაკის რაიონის ეკისთემის კოორდინატორ რომანო ცხვიტავას დაკავების ფაქტზე. ცხვიტავა პოლიციამ ხულიგნობის ბრალდებით აიყვანა და სასამართლომ ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ალასანია აღნიშნულს პოლიტიკური მოტივით ხსნის და "მიუღებელს" უწოდებს.

"სენაკის რაიონში პოლიცია აკავებს "კარდაკარში" მონაწილე ჩვენს აქტივისტებს. ეს მიუღებელია, რადგან ამით ხელი ეშლება პოლიტიკური პროცესის ნორმალურად წარმართვას. მინდა, მივმართო უწყებათაშორის კომისიას, ყურადღება მიაქციოს ამ ფაქტს და იმასაც, რომ არავის შეეშალოს ხელი პოლიტიკური პროცესის წარმართვაში. ხელისუფლების მიზანია ჩვენი წონასწორობიდან გამოყვანა, თუმცა ჩვენ მშვიდად განვაგრძობთ კამპანიას და "ნაციონალურ მოძრაობას" აუცილებლად დავამარცხებთ," - განუცხადა ალასანიამ ჟურნალისტებს.

"ლეიბორისტები" კომერციული ბანკების პოლიტიკას აპროტესტებენ

"ლეიბორისტების" წარმომადგენელმა შესახებ სოსო შატბერაშვილმა ეროვნულ ბანკთან გამართულ აქციაზე ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას მოსთხოვა, საჯარო გახადოს ინფორმაცია კომერციული ბანკების ტოპ-მენეჯერების შემოსავლების შესახებ. შატბერაშვილმა ბანკებს, თანამშრომლებისთვის მაღალი ხელფასებისა და ბონუსების გაცემის ნაცვლად, კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებისკენ მოუწოდა.

"ლეიბორისტების" განცხადებით, იპოთეკური სესხების გადაუხდელობის გამო 20 ათასმა ადამიანმა უკვე დაკარგა საცხოვრებელი.

ქართულმა პროექტმა 37 პროექტს შორის გაიმარჯვა

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის საუკეთესო პროექტი განხორციელდა. პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონაჟით ჩატარებულმა ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის კამპანიამ ევროპის 37 ქვეყანაში განხორციელებულ პროექტებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

პროექტი "დონთ ვორი ბი ჰელსი" სამი მიმართულებით მიმდინარეობდა - თამბაქოს მოხმარების შეზღუდვა, ჯანსაღი კვებისა და ცხოვრების ჯანსაღი ჩვევების პროპაგანდა. პროექტის მონაწილეები გუშინ პირველმა ლედიმ და საქართველოში ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა დააჯილდოვეს.

"ქრისტიან-დემოკრატები" წინასაარჩევნო პროგრამას მოსახლეობასთან ერთად წერენ

პარტიის პრესამსახურის ცნობით, აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე ნუგზარ ფუტკარაძე, საკრებულოს "ქრისტიან-დემოკრატ" წევრ ვაჟა ვერულიძესთან ერთად, ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქუჩის მცხოვრებლებს შეხვდა. შეხვდრის მთავარი მიზანი წინასაარჩევნო პროგრამის დაწერაში მოსახლეობის ჩართვა იყო.

"ჩვენ ახლებურად ვუდგებით წინასაარჩევნო პროგრამის შედგენას. პროგრამას ვწერთ ხალხთან ერთად. ჩვენ მოვიცავთ ყველა სოფელს, ყველა თემს, ყველა ქუჩას, სადაც ხელი მიგვიწვდება. მოსახლეობას გავაცნობთ ჩვენს ხედვებს, მოვისმენთ მათ წინადადებებს და ამის მიხედვით ჩამოვაყალიბებთ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის "ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის წინასაარჩევნო პროგრამას," - აღნიშნა ფუტკარაძემ.

News.ge-ის ინფორმაციით, საარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილზე უფრო დაწვრილებით ვაჟა ვერულიძემ ისაუბრა. მისი განცხადებით, ცალკეული პოლიტიკური პარტიების მიერ მოსახლეობის წინასაარჩევნოდ დაფინანსება ვერ გადაჭრის მათ პრობლემას. ვერულიძის თქმით, საჭიროა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს. პირველ რიგში კი, აუცილებლად უნდა გადაიხედოს საგადასახადო სისტემა და შევიდეს მასში ისეთი ცვლილებები, რომელიც ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს საქმიანობას გაუადვილებს.

გენერალ დუმბაძის მკვლელობა - გამოძიება მოტივს არ ასახელებს

2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსული მხარის მოთხოვნით, ქართველ სამხედროებზე გაცვლილი და ცოტა ხნის წინ მოსკოვის ცენტრში მოკლული ქართველი გენერლის რომან დუმბაძის საქმე გაიხსნა.

ბათუმის 25-ე ბრიგადის მეთაური, გენერალი რომან დუმბაძე ასლან აბაშიძის გადადგომიდან ძალიან მალე, 2004 წელს დაეპატიმრეს. გენერალმა დუმბაძემ დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, რომ არ ექვემდებარება ქვეყნის მთავარსარდალს და მხოლოდ ასლან აბაშიძეს ემორჩილება. დაკავებამდე იგი საერთაშორისო ძებნილად იყო გამოცხადებული.

უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნა, იარაღის უკანონოდ შენახვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და, რაც მთავარია, სამშობლოს ღალატი - ამ მუხლებით გაასამართლეს რომან დუმბაძე და 17 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გენერალი დუმბაძე მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს უარყოფდა.

"მე უდანაშაულო ვარ, საქართველოსთვის არასდროს მიღალატია," - აცხადებდა თავად დუმბაძე.

2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, პატიმარი რომან დუმბაძე, რუსეთის არმიის გენერალ ბორისოვის მოთხოვნით, რუსების მიერ დატყვევებულ 12 ქართველ სამხედროზე გაიცვალა და რუსმა სამხედროებმა იგი მოსკოვში ნაიყვანეს. 2010 წელს რუსეთის პრეზიდენტმა მას რუსეთის მოქალაქეობა უბოძა.

48 წლის რომან დუმბაძე საკუთარ სახლთან ახლოს, რუბლიოვსკაიას გზატკეცილზე, 21 მაისს მოკლეს. თავდამსხმელები მოტოციკლით იყვნენ; მათ დუმბაძეს რამდენიმე ტყვია ესროლეს, საკონტროლო გასროლაც გააკეთეს და გაიქცნენ. სასიკვდილოდ დაჭრილი რომან დუმბაძე შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

გამოძიების თავდაპირველი ვერსიით, ქილერები რომან დუმბაძეს კარგა ხანს უთვალთვალებდნენ.

გუშინ რუსულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსმა სამართალდამცველებმა დააკავეს გენერალ რომან დუმბაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილები. სამივე დაკავებული ქართველია. სამართალდამცველებმა მოწმის სტატუსით დაკითხეს 26 წლის მიხეილ ტონია. მისი ოჯახის წევრების განცხადებით, ტონიას ჰკითხეს ვინმე თორნიკე კვირიკაშვილთან დაკავირებით. მათივე თქმით, კვირიკაშვილი პერიოდულად ცხოვრობდა ტონიას სახლში და იქ საკუთარ ნივთებსაც ინახავდა. ტონიას დედის განცხადებით, გამოძიება დაინტერესდა კვირიკაშვილის ავტომობილით, რომელიც მან ტონიას საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დატოვა.

გამოძიების მონაცემებით, დაკავებულები დაქირავებული ქილერები არიან და მათ კავშირი აქვთ მოსკოვის ტერიტორიაზე მომხდარ რამდენიმე გახმაურებულ დანაშაულთან.

რუსული მედია წერს, რომ ბანდის ერთი წევრი, 48 წლის მამაკაცი, სამართალდამცველებმა "ფრონტოვიკების" მებაღეობის ამხანაგობაში დააკავეს. მან აღიარა, რომ გადაჰყავდა ქილერი, რომელმაც დუმბაძეს შვიდჯერ ესროლა. მან სამართალდამცველებს აჩვენა იარაღის სამალავი. გამოძიების ვერსიით, კიდევ ერთი დაკავებული დუმბაძის გადადგილებას ადევნებდა თვალს და მართავდა მოვლენებს.

გავრცელებული ინფორმაციით, შემკვეთმა ქილერებს დუმბაძის მკვლელობისთვის 150 ათასი დოლარი გადაუხადა, თუმცა გამოძიება ჯერ-ჯერობით არაფერს ამბობს მკვლელობის მოტივისა და დაკავებულთა ვინაობის შესახებ.

პაკისტანი ნატო-ს გზას კვლავ უხსნის

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ პაკისტანი კვლავ გახსნის იმ გზას, რომელსაც ამერიკა და მისი მოკავშირეები ავღანეთში მყოფი სამხედროების მომარაგებისათვის იყენებენ. კლინტონმა, აგრეთვე, ბოდიში მოიხადა ნოემბრის ინციდენტის გამო, რომლის შემდეგაც პაკისტანმა კოალიციის ძალებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი გზის ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. 2011 წლის ნოემბერში ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე ნატო-ს მიერ განხორციელებულ საჰაერო იერიშს 24 პაკისტანელი სამხედრო ემსხვერპლა.

კლინტონის ამ განცხადებამდე, საკითხის მოსაგვარებლად ერთმანეთს შეხვდნენ ავღანეთში ნატო-სა და ამერიკის კონტინგენტის სარდალი, გენერალი ჯონ ალენი და პაკისტანის სამხედრო მაღალჩინოსანი. შეხვედრაზე პაკისტანის მხარემ, გზის გახსნის სანაცვლოდ, ნოემბრის ინციდენტის გამო ბოდიშის მოხდა მოითხოვა. პაკისტანის ელჩმა ამერიკაში შერი რეჰმანმა განაცხადა, რომ აფასებს კლინტონის განცხადებას. მან იმედი გამოთქვა, რომ "ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გაუმჯობესდება."

პაკისტანის ინფორმაციის მინისტრმა ქამარ ზამან კაირმა "სი-ენ-ენ"-თან საუბრისას აღნიშნა, რომ, სავარაუდოდ, გზის გახსნას ოპოზიციური პარტიების დიდი წინააღმდეგობა მოჰყვება, "თუმცა იმედია, პაკისტანელი ხალხი მათ არ მოუსმენს."

გერმანიაში ამერიკის ერთ-ერთი უძველესი რუკა აღმოაჩინეს

გერმანიაში აღმოაჩინეს მსოფლიო რუკის ადრე უცნობი, მე-16 საუკუნის ეგზემპლიარი. ის ერთ-ერთი პირველია, რომელშიც ფიგურირებს კონტინენტი სახელწოდებით "ამერიკა." აქამდე კარტოგრაფ მარტინ ვალდზემიულერის რუკების სულ ოთხი ეგზემპლიარი იყო ცნობილი, თუმცა მიუნხენის უნივერსიტეტის მკვლევარებმა მეხუთე ეგზემპლიარსაც მიაგნეს, რომელიც "ამერიკის დაბადებაზე მიუთითებს."

"ყველა მტკიცებულებით, ეს მეორე გამოცემაა და უნიკალური რუკაა," - განაცხადა მიუნხენის უნივერსიტეტის უძველესი წიგნების განყოფილების ხელმძღვანელმა სვენ კუტნერმა. გერმანელმა მკვლევარებმა გუშინ, 4 ივლისს - ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს ინტერნეტში რუკის ელექტრონული ვერსია განათავსეს.

ირანს ნავთობის ახალი მარაგი გამოუჩნდა

ირანის ნავთობის მინისტრმა როსტამ ქასემმა განაცხადა, რომ ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებულ საბადოებში 6 მილიარდი ბარელის მოცულობის ნავთობის მარაგი აღმოჩნდა. მინისტრის განცხადებით, რეზერვი ხუზეტანის პროვინციაში იადავარანის ნავთობის საბადოში აღმოაჩინეს. "ამ ახალი აღმოჩენის შედეგად ქვეყნის ნავთობის რეზერვი 6 მილიარდი ბარელით გაიზარდა," - აღნიშნავს ქასემი. ადრე ცნობილი იყო, რომ ირანის ნავთობისა და გაზის რეზერვი 154,8 მილიარდ ბარელს უდრიდა, ახალი აღმოჩენის შედეგად კი ეს რაოდენობა 160 მილიარდ ბარელამდე გაიზარდა.

3 მარტს ირანელმა მაღალჩინოსანმა მაჰმუდ მოდასმა განაცხადა, რომ ხუზესტანის პროვინციაში ნავთობის დიდი საბადო აღმოაჩინეს მაღალი ხარისხის ბუნებრივი რესურსებით.

ივნისში ირანმა კასპიის ზღვაში ახალი საბადოს აღმოჩენის შესახებ გამოაცხადა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის თქმით, რეგიონში "პოლიტიკურ და ენერგეტიკულ ბალანსს შეცვლიდა." თუმცა, რეგიონის ექსპერტის ალექს ჯექსონის თქმით, აღნიშნული საბადო იმ წყლებში მდებარეობს, რომელზე პრეტენზიასაც აზერბაიჯანი აცხადებს. ირანს საბადოს ზუსტი ადგილმდებარეობა არ დაუსახელებია, თუმცა განაცხადა, რომ ის რუდსარის ჩრდილოეთით, გილანის პროვინციიდან 188 კმ-ში და ნეკას ჩრდილო-დასავლეთით 250 კმ-ში მდებარეობს. ამ კოორდინატების გათვალისწინებით, საბადო იმ ადგილს ემთხვევა, რომელსაც აზერბაიჯანი თავისი ტერიტორიული წყლების სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს. თუ ირანის განცხადება მართალი აღმოჩნდა, ჯექსონი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანთან სასაზღვრო დავა გარდაუვალი გახდება.

რუსეთის საგარეო ვალი ნახევარ წელიწადში 7,3 პროცენტით გაიზარდა

რუსეთის ბანკის მონაცემებით, 2012 წლის პირველ ნახევარში რუსეთის ფედერაციის საგარეო ვალი 7,3 პროცენტით გაიზარდა. 1 იანვრიდან 1 ივლისის ჩათვლით ვალის რაოდენობა 39,783 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ამ დროისათვის ქვეყნის საგარეო ვალი მთლიანობაში 585,133 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ავღანეთის არმიის ფორმიანმა მამაკაცმა ნატო-ს ხუთი ჯარისკაცი დაჭრა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განცხადებით, დღეს ავღანეთის არმიის ფორმაში გადაცმულმა მამაკაცმა ნატო-ს ხუთი სამხედრო დაჭრა. თავდასხმა ქაბულის აღმოსავლეთით, ვარდაკის პროვინციაში არსებულ ნატო-ს ბაზაზე მოხდა. დაჭრილები, სავარაუდოდ, ამერიკის მოქალაქეები არიან. მსგავსი ტიპის თავდასხმას მხოლოდ ამ წელიწადში ნატო-ს ოცი სამხედრო ემსხვერპლა. 2014 წლის ბოლოსათვის ავღანეთს ნატო-ს ჯარების უმრავლესობა დატოვებს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ პაკისტანი ავღანეთში ალიანსის ჯარების მომარაგებისათვის უმნიშვნელოვანეს გზას გახსნის.

მოამზადა თამთა კახაძემ

არეულობა უკრაინაში სახელმწიფო ენის დასაცავად

პირველი გვერდიდან



იანუკოვიჩის საგანგებო შეხვედრა მომხრეებთან

სიტუაცია სერიოზულად დაიძაბა. ოპოზიცია კენჭისყრას უკანონოს უწოდებს და ბოიკიტით იმუქრება. გუშინ პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა დაგეგმილი პრესკონფერენციაც გადადო, რომელზეც ნახევარი წლის შედეგები უნდა შეეჯამებინა. უმაღლესი რადას სპიკერმა ვლადიმირ ლიტვინმა და მისმა მოადგილემ (ოპოზიციიდან) ნიკოლაი ტომენკომ გააკეთეს განცხადებები გადადგომის თაობაზე. ლიტვინი კანონპროექტის ხელმოწერაზე უარს ამბობს.

ამ კანონის პირველი მოსმენით მიღების წინაც იყო რადაში ხელჩართული ჩხუბი და მაშინ ოპოზიციამ კენჭისყრის ჩაშლა შეძლო. მოგვიანებით, 5 ივნისს მმართველმა "რეგიონების პარტიამ" მისი პირველი მოსმენით მიღება მაინც მოახერხა - მათ პარლამენტში, მოკავშირეებთან ერთად, უმრავლესობა აქვთ (ამ ყველაფრის თაობაზე დაწვრილებით წერდა "24 საათი"). კანონი ითვალისწინებს "რეგიონული ენების" შემოღებას. ეს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს უკრაინაში მცხოვრები ნებისმიერი უმცირესობის ენას, თუ კონკრეტული რეგიონის ტერიტორიაზე ისინი მოსახლეობის 10 პროცენტს მაინც შეადგენენ. რეალურად კი ეს ნიშნავს, რომ რუსული ენა მიიღებს ამ სტატუსს უკრაინის 27 ოლქიდან 13-ში, უფრო კონკრეტულად, ქვეყნის აღმოსავლეთში, სამხრეთსა და დედაქალაქ კიევშიც. ამ რეგიონებში სახელმწიფო ენასთან, უკრაინულთან ერთად, დაშვებული იქნება რუსული ენის გამოყენება, ფაქტობრივად, ყველა სფეროში, მათ შორის, საქმის წარმოებაში. მოქალაქის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება რუსულად ჩანაწერის გაკეთება პასპორტშიც (უკრაინულთან ერთად). "რეგიონულ ენაზე" სიტყვით გამოსვლის უფლება ექნება უმაღლესი რადას წევრსაც, ოღონდ აპარატმა მისი სინქრონული თარგმანი უნდა უზრუნველყოს. რეალურად კი ეს ნიშნავს, რომ უკრაინაში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს და რუსულენოვან მოსახლეობას აღარ ექნება სახელმწიფო ენის სწავლის აუცილებლობა. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ეს ქვეყანაში დაპირისპირებას და ქვეყნის "მცოცავ რუსიფიკაციას" გამოიწვევს.

კანონი უმაღლეს რადაში მოტყუებით, დღის წესრიგში წინასწარ შეტანის გარეშე დააყენეს კენჭისყრაზე. ჯერ კიდევ ხმის მიცემის წინა დღეს პარლამენტის სპიკერი ვლადიმირ ლიტვინი აცხადებდა, რომ კანონში 2000-მდე შესწორებაა შეტანილი, საჭიროა მათი მუხლობრივი განხილვა და ის ჯერ მეორე მოსმენით კენჭისყრაზე ვერ დადგება. ლიტვინი თავისი მცირერიცხოვანი ფრაქციით მმართველი ძალის მოკავშირედ კი მიიჩნეოდა, მაგრამ ამ კანონის მიღების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. 3 ივლისს ის არც ესწრებოდა სხდომას, რომელზეც მისმა პირველმა მოადგილემ, კომუნისტმა ადამ მარტინიუკმა კანონი კენჭისყრაზე მოულოდნელად დააყენა. კანონის მეორე მოსმენით კენჭისყრაზე დაყენებას მხარი დაუჭირა 219 დეპუტატმა საჭირო 226-ის ნაცვლად. ოპოზიციის წარმომადგენლები ტრიბუნას ეცნენ, მაგრამ მისასვლელები რეგიონების პარტიის წარმომადგენლებს წინასწარ ჰქონდათ ბლოკირებული. ოპოზიციონერებმა მაინც მოახერხეს წამყვანის მიკროფონამდე მიღწევა, მათ შორის, ფრაქცია "ნაშა უკრაინა ნაროდნაია სამოობორონას" წევრის ანდრეი პარუბიისთვის ნეკნების ჩამტვრევის ფასად და მარტინიუკს მიკროფონი გამოგლიჯეს, მაგრამ მან სპიკერის - ლიტვინის მიკროფონთან გადაინაცვლა და კანონპროექტი კენჭისყრაზე დააყენა. პირველ ცდაზე ხმების მოგროვება ვერ მოხერხდა და მხოლოდ მეორედ კენჭისყრისას მოხერხდა საჭირო "კანონის მიღება". ამისთვის უმრავლესობამ იმ დეპუტატების (მათ შორის, ოპოზიციის წარმომადგენლების) პულტებიც გამოიყენა, რომლებიც დარბაზში და ზოგი ქვეყანაშიც კი არ იმყოფებოდნენ. მოკლედ, დაირღვა რეგლამენტიც და თვით კენჭისყრის შესახებ კანონიც. ოპოზიცია კანონს მიღებულად არ მიიჩნევს და გამოძიებას მოითხოვს. გუშინ გვიან საღამოს დეპუტატთა ნაწილმა სხვადასხვა ფრაქციებიდან მათ მიერ მიცემული ხმები უკან "გამოწვია".

სამშაბათსვე კიევის ცენტრში "უკრაინულ სახლთან", სადაც გუშინ პრეზიდენტ იანუკოვიჩის პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო, ხალხი შეიკრიბა. სხვადასხვა მონაცემებით, იქ 500-დან რამდენიმე ათასამდე კაცი იყო. ხალხმა შენობასთან მთელი ღამე გაატარა. სპეცრაზმმა "ბერკუტმა" ორჯერ თუ სამჯერ სცადა მათი დაშლა, მაგრამ ვერ მოახერხა და უკან დაიხია. შეტაკებისას დაშავდნენ როგორც სამართალდამცველები, ასევე საპროტესტო აქციის წარმომადგენლებიც, მათ შორის, ოპოზიციური პარტია "უდარის" ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი მოკრივე ვიტალი კლიჩკოც. მან დაზიანება მიიღო ცრემლსადენი გაზით და შემდეგ მცირე ჭრილობა ხელზე შუშის ნამტვრევებით.

იანუკოვიჩის პრესკონფერენცია გაურკვეველი ვადით გადაიდო. შეკრებილი ხალხი ამ ცნობას შეხვდა კმაყოფილი შეძახილებით "მშიშარა". პრეზიდენტი გუშინ შეხვდა პარლამენტის ფრაქციების ხელმძღვანელებს, მაგრამ იქ მხოლოდ მისი მომხრეები მივიდნენ. ოპოზიცია ცალკე შეხვედრას მოითხოვს, თან პირდაპირ ეთერში. იანუკოვიჩმა ფრაქციების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას არ გამორიცხა უმაღლესი რადას ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საკითხიც (ასეთი მოთხოვნები გუშინ უკვე გაისმა), მაგრამ მხოლოდ კონსულტაციების წარუმატებლად დამთავრების შემდეგ, როგორც კრიზისის მოგვარების უკანასკნელი ვარიანტი.

გუშინვე ექსპრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ გააკეთა განცხადება, რომელშიც ახალ კანონს ქვეყნის ერთიანობისთვის საშიში დოკუმენტი უწოდა. მანვე გაუსვა ხაზი დარღვევებს და განაცხადა, რომ ამას არ შეიძლება ხელი მოანეროს პრეზიდენტმა. იუშჩენკომ იმედი გამოთქვა, რომ ამ ფაქტით გამოწვეული საპროტესტო ტალღა ხალხში აღარ ჩაქრება.

გუშინვე დედაქალაქის ადმინისტრაციის სარჩელის საფუძველზე სასამართლომ ქალაქის ცენტრში ხალხს შეკრება აუკრძალა. ამ გადაწყვეტილების საფუძველი ვერდიქტში მითითებული არ არის.

სახიფათო მანევრები სპარსეთის ყურეში

პირველი გვერდიდან

ცოტა ხნის წინ რეგიონში ასევე გაიგზავნა ანტისარაკეტო თავდაცვის ავიამზიდი, რომელსაც ბალისტიკური რაკეტების განადგურებაც შეუძლია. სპარსეთის ყურეში ასევე იმყოფება მცურავი დოკი "პონსი", რომელიც საჭიროების შემთხვევაში მცურავი ჰოსპიტლისა და სადესანტო ხომალდის ფუნქციასაც შეითავსებს. გარდა ამისა, გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ახლოაღმოსავლურ ბაზებზე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი "ეფ-22" კლასის უჩინარი თვითმფრინავებისა და შედარებით ძველი "ეფ-15" კლასის თვითმფრინავების გადასროლაც მოხდა.

ეჭვების წარმოქმნას ხელს უწყობს ჩიხში შესული კონსულტაციები "ექვსეულსა" და ირანს შორის ამ უკანასკნელის ბირთვული პროგრამის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ დღემდე რუსეთის ფედერაციამ, ჩინეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ ერთობლივი ძალებით ვერ შეძლეს ოფიციალური თეირანის პრობლემის დაძლევა, გამოსავლად ისღა რჩება, რომ ისლამურ რესპუბლიკასთან საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოება დაიწყოს. რუსული გამოცემა "კომერსანტის" თანახმად, თუ თეირანი ამაზეც უარს განაცხადებს, არ არის გამორიცხული ძალის გამოყენებაც. სამხედრო ჩარევის საფრთხეზე "ვაშინგტონ პოსტის" სვეტში დევიდ იგნაშესმაც დაწერა. პუბლიკაცია 3 ივლისით თარიღდება. ამავე გამოცემაში დაიბეჭდა კიდევ რამდენიმე სტატია ირანის ბირთვულ პროგრამაზე, სამხედრო წრთვნებსა და ისრაელის შეშფოთებაზე ოფიციალური თეირანის პოზიციით.

რევოლუციის გუშაგთა საბჭომ სამშაბათს სემანის უდაბნოში რამდენიმე ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა, მათ შორის, საშუალო და შორი მოქმედების რადიუსისაც. ამით შეეცადა დაერწმუნებინა ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომ ისლამურ რესპუბლიკაზე დარტყმისგან თავი უნდა შეიკავონ. ირანის სახელმწიფო ტელევიზიის მიერ გავრცელებული ცნობებით, ახალ რაკეტებს სამიზნის განადგურება 1 300 კილომეტრის სიშორეზე შეუძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში რაკეტები ისრაელის ტერიტორიამდეც მიაღწევს. ოფიციალური თეირანის განმარტებით, ირანზე ნებისმიერი აგრესიის გამოვლინების საპასუხოდ ისრაელი ისლამური რესპუბლიკისგან ადეკვატურ პასუხს მიიღებს. ისრაელმა რამდენიმე კვირის წინ ღიად განაცხადა, რომ თუ დასავლეთის დიპლომატიური ძალისხმევა სასურველ შედეგს არ გამოიღებს, არ არის გამორიცხული, ისრაელმა ირანის წინააღმდეგ ძალაც გამოიყენოს. პრობლემატურ საკითხზე განცხადება ოფიციალურმა ვაშინგტონმაც გააკეთა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები არ დაუშვებს ირანის მიერ ორმუზის სრუტის ჩაკეტვას. **"ჩვენ უკვე წლებია საკმაოდ ღიად და მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რატა ორმუზის სრუტის ღია მდგომარეობაში ყოფნა უზრუნველვყოთ,"** - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა. მისი თქმით, ოფიციალური ვაშინგტონი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ირანმა რაკეტებზე ბირთვული ქობინები არ დაამაგროს.

თავად ირანის საინფორმაციო სააგენტო "ფარსი" კი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ქვეყანა მზადაა გაანადგუროს ახლომდებარე ამერიკული სამხედრო ბაზები და იერიში მიიტანოს ისრაელზე. **"ზომები უკვე მიღებულია და ჩვენ შეგვიძლია იერიშის პირველივე წუთებშივე გავანადგუროთ ბაზები,"** - განაცხადა რევოლუციის გუშაგთა საბჭოს გენერალმა ამი ალი ჰაჯიზადემ.

ვითარების გამწვავება სპარსეთის ყურეში, სამხედრო მანევრების გარდა, ირანის წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების 1 ივლისიდან სრული მასშტაბით ამოქმედებამაც გამოიწვია. ცოტა ხნის წინ ირანის პარლამენტში ახალ კანონპროექტზე დაიწყეს მუშაობა, რომლის დამტკიცების შემთხვევაში ისლამური რესპუბლიკა ორმუზის სრუტის ჩაკეტვით იმუქრება. ორმუზის სრუტე სპარსეთის ყურიდან ღია ოკეანეში ერთადერთი გასასვლელია. მისი მეშვეობით ნავთობის საზღვაო ექსპორტის 40 პროცენტის გადინება ხდება.

სამშაბათს სტამბულში ბოლო ოთხი თვის განმავლობაში "ექვსეულსა" და თეირანს შორის მოლაპარაკებათა პროცესის მეოთხე რაუნდი გაიმართა, მაგრამ, წინამორბედების მსგავსად, ისიც მნიშვნელოვანი შედეგის გარეშე დასრულდა. მხარეები კვლავ კონსულტაციების გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

როგორ მოვყვეთ დოკუმენტური ფილმი

ეროვნული კინოცენტრი Docstories Black Sea-ს უორქშოფს მასპინძლობს

ია ვეკუა

თითქმის ერთი თვეა ქართულ გაქირავებაში ნანა ჯანელიძის "ნეტავი იქ თეატრი არის?" გამოვიდა. ამ ფაქტს ჩვეულებრივ ამბად ჩავთვლიდით, რომ არა ის დეტალი, რომ ფილმი დოკუმენტურია, ამრიგად, მისი დიდ ეკრანზე გამოსვლა ერთგვარ პრეცედენტს წარმოადგენს. დოკუმენტური ფილმები ჩვენთან გაქირავებაში არ გამოდის, თუმცა ამ ჟანრის მაყურებელიც არსებობს. სწორედ დოკუმენტური კინოს განვითარების საკითხს ემსახურება საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მორიგი პროექტი Docstories Black Sea ანუ "თხრობა დოკუმენტურ ფილმში."

აღნიშნული პროექტი უორქშოფის სახით მიმდინარეობს - მას 2-დან 6 ივლისის ჩათვლით გოეთეს ინსტიტუტი მასპინძლობს და შავი ზღვის რეგიონში შემოქმედებითი და ინოვაციური დოკუმენტური კინოპროექტების განვითარებას ემსახურება. თბილისში სტუმრად იმყოფებიან ევროპის კინობაზარზე მომუშავე გამოცდილი ექსპერტები და კინორეჟისორები, რომლებიც უორქშოფის მონაწილეებს მათი პროექტების გაანალიზებასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებაში ეხმარებიან. მსგავსი ტიპის უორქშოფებსა და სემინარებს კინოცენტრი დიდი ხანია მხატვრული კინოს განვითარების კუთხით ატარებს (Mini Eave, რობერტ ბოშის ფონდის პროგრამები და სხვა), ახლა კი დოკუმენტური კინოს ჯერი დადგა.

უორქშოპის ორგანიზებაში ჩართული არიან პარტნიორები სამი ქვეყნიდან: IDFA (ამსტერდამის საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალი), Art-Doc (რუმინეთი) და Noosfera Foundation (საქართველო). უორქშოფს კი ესწრებიან კინოდოკუმენტალისტები, პროდიუსერები, იდეის ავტორები და მედიაში მომუშავე პროფესიონალები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუმინეთიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, მოლდავეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიდან. Docstories Black Sea-ს უორქშოფი სამი ძირითადი სესიისგან შედგება: პირველი სესია, რომელსაც თბილისი მასპინძლობს, როგორც გითხარით, უკვე მიმდინარეობს და 6 ივლისს დასრულდება. სესია დოკუმენტური პროექტების თხრობის სტრუქტურასა და დრამატურგიული განვითარების საკითხებს ეძღვნება; მეორე სესია 16-20 ოქტომბერს რუმინეთის ქალაქ სიბიუშია დაგეგმილი, სადაც უორქშოფი Astra Film Festival-ის ფარგლებში გაიმართება. აქ, პროექტების განვითარებასთან ერთად, ყურადღება დაეთმობა ინოვაციურ დოკუმენტურ ფორმატებს ინტერნეტისა და ტელევიზიისთვის; მესამე სესიის მასპინძელ ქალაქად ამსტერდამია არჩეული, სადაც 15-19 ნოემბერს IDFA და IDFA Academy-ს მონაწილეობით დაფინანსების, კოპროდუქციისა და დისტრიბუციის შესაძლებლობებს განიხილავენ. ვორქშოფის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი პროექტები ევროპის მნიშვნელოვან ფესტივალებზე წარადგინონ და დისტრიბუტორებს, პროდიუსერებსა თუ სხვადასხვა საერთაშორისო ფონდების წარმომადგენლებს გააცნონ. გარდა ამისა, მონაწილეები IDFA Academy-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და მასტერკლასებს დაესწრებიან.

თამარ ტატიშვილი, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი: "ბოლო ორი წელია კინოცენტრი სერიოზულად მუშაობს დოკუმენტური კინოს განვითარებაზე და ეტაპობრივად ეს ჟანრი უფრო პრიორიტეტული გახდება. ჩვენი ისტორიაც და რეალობაც დოკუმენტურ კინოს უამრავ საინტერესო თემას სთავაზობს, ამიტომ ეს ჟანრი ნამდვილად შეიძლება გახდეს ტრენდი, რომელიც საქართველოს მსოფლიო კინოპალიტრაზე მასშტაბურად წარმოაჩენს. მსგავსი რამ დანიაში 10-12 წლის წინ მოხდა, სწორედ დოკუმენტური კინოს განვითარებამ მისცა მხატვრულ კინოს მნიშვნელოვანი ბიძგი. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება აზიურ კინემატოგრაფშიც. დოკუმენტური კინოს განვითარების ერთ-ერთი მიმართულებაა თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში არსებული Pitch Doc, სადაც კინოდოკუმენტალისტები საკუთარ პროექტებს წარადგენენ. კინოცენტრის მხრიდან კი თემატური შეზღუდვა არ არსებობს, რადგან სულ უბრალო თემაც ძალიან კარგ კინოპროექტად შეიძლება იქცეს. ამრიგად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ, რაც შეიძლება, მეტ საინტერესო თემას მივცეთ განვითარების საშუალება."

სალომე ჯაში, კინოდოკუმენტალისტი: "უორქშოფი აქცენტირებულია ფილმის სტრუქტურისა და ამბის თხრობის განვითარებაზე ანუ გვასწავლიან, როგორ უნდა მოვყვეთ ამბავი. ძალიან კარგია, როდესაც პროექტზე მუშაობისას ე.წ. მეორე თვალი გყავს, რომელიც პროფესიონალურ შენიშვნებს გაძლევს და საინტერესო აქცენტებს სვამს. ამ უორქშოფის ყველა მონაწილეს ჩვენი პროექტები გვაქვს მოტანილი და ერთმანეთს მათ განვითარებაში ვეხმარებით. ფაქტია, რომ რაც უნდა კარგი ისტორია გქონდეს, თუ ის მაყურებლისთვის საინტერესოდ არაა მოთხრობილი, ფილმი წარმატებას ვერ მოიპოვებს."

ლუარსაბ II არქივებში

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის ხსენების დღე ამ მეფესთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების მიმოხილვას მიუძღვნა. ლუარსაბ II (1592-1622) 14 წლის, 1606 წელს, მამის, გიორგი X-ის უეცარი გარდაცვალების შემდეგ გამეფდა. 1614 წელს, როდესაც მეფე ლუარსაბი თბილისში მყოფ ირანის შაჰს ქართლის აოხრებისაგან დასახსნელად ეწვია, შაჰ-აბას I-მა იგი საპყრობილეში ჩასვა. მეფეს შაჰმა გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზეც ვერ დაიყოლია. 8-წლიანი ტყვეობის შემდეგ ლუარსაბ II შაჰის ბრძანებით ციხეში მოკლეს. საქართველოს ეკლესიამ მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული მეფე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 4 ივლისი. ეროვნული არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული მასალა მეფე ლუარსაბზე მცირეა, მაგრამ შთამბეჭდავი. ქვემოთ წარმოდგენილ ნუსხაში კარგად ჩანს მეფე ლუარსაბის მოღვაწეობის მრავალფეროვნება: ზრუნვა ნასოფლარების აღდგენაზე, ვაჭრობის განვითარებაზე, ეკლესიის გაძლიერებაზე, როგორც საქართველოში, ისე იერუსალიმის ქართული ეკლესიებისა და სხვა.

ხშირად ქართლის მეფეები მეფე ლუარსაბის მიერ გაცემულ სიგელების საფუძველზე ამტკიცებდნენ განაჩენებს და ანახლებდნენ წყალობისა და შეწირულების წიგნებს. ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ინახება არაერთი დოკუმენტი, მათ შორის მნიშვნელოვანია რამდენიმე: 1. XVIII საუკუნე. კრებული. თავნაკლული. ნუსხური. პირველი ოთხი ფურცელი ეძღვნება მეფე ლუარსაბს - წმ. ლუარსაბ მეფის სვინაქსალური ცხოვრება და ლიტურგიკული მსახურება. - "ქუეყანათა ზენა განსწავლებს სავანეთა, ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ ... რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჰგონებდეს ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმერთსა". 2. XIX საუკუნის დასაწყისი. კრებული. მხედრული. წამება წმიდისა და ნეტარის მეფისა ლუარსაბისი (1622 წ.) - "აწ, ვახსენოთ წამება წმინდისა და დიდებულისა ლუარსაბ მეფისა, რომელი იქმნა წამება ამისი უსჯულოისა მეფისა მიერ შაჰ-აბაზის მიერ". 3. 1839 წელი. ანტონ კათალიკოსი - მცირე ქართლის ცხოვრება. სიტყვა მეათორმეტე - ლუარსაბის მეფობისა დასაბამსა იყო ფრიად მძლავრება სპარსთა საქართველოთა ზედა, გარნა ლუარსაბის მეფობასა შინა ვერცარა მძლავრება სპარსთა საქართველოთა ზედა". ძველი ქართული საბუთების დედნების კოლექცია: 4. 1608 წლის. 29 ივლისი. მამულის წყალობის წიგნი მეფე ლუარსაბისა ბოქაულთუხუცეს დავითისადმი. უწყალობა ზემო ქართლში მდებარე სოფელი აბანო თავისი "სამართლიანის სამძღურითა". 5. 1609 წლის 14 თებერვალი. ადგილმამულის წყალობის განახლების წიგნი მეფე ლუარსაბისა გორელი ვაჭრის მამუკა მესხასატურაშვილისადმი. ერთგული სამსახურისათვის უწყალობა სახლი თავისი არემარეთი, ქულბაქები (მცირე ზომის დუქანი, რომელიც ბაზრის ტერიტორიაზე მდებარეობდა) და სამთვლიანი წისქვილები. მეფე საბუთს ამტკიცებს ბეჭდითა და ხელრთვით. მოგვიანებით 1641 წ. იგივე საბუთს ამტკიცებენ მეფე როსტომი და დედოფალი მარიამი.6. 1613 წელი მამულის წყალობის წიგნი მეფე ლუარსაბისა ასპან ამირეჯიბისადმი. ერთგულებისათვის უწყალობა წაღულში მდებარე მამულები. ძველი ქართული საბუთების პირების კოლექცია: 7. 1607 წელი. ბრძანება მეფე ლუარსაბისა, სიონის ღმრთისმშობლის ეკლესიის ყმების საბალახესაგან (პირუტყვის საძოვრის გადასახადი) გათავისუფლების შესახებ.8. 1608 წელი. ნასოფლარ ტანძუტის წყალობის წიგნი მეფე ლუარსაბისა გოგიბაშვილისადმი. გარდა ამისა უწყალობა სომხითში (საბარათიანო) მცხოვრები ორი კომლი გლეხი. 9. 1608 წელი. სითარხნის (გადასახადებისაგან გათავისუფლება) წიგნი მეფე ლუარსაბისა და დედოფალ თამარისა წმ. გიორგის ბობნახეველი ყმებისადმი. 10. 1609 წელი. სოფლის წყალობის წიგნი მეფე ლუარსაბისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი. უწყალობა ვახტანგ ბატონიშვილის ნაქონი სოფელი კრკონი ქვეშისხევში.11. 1610 წელი კათალიკოსმა ზებედემ მეფე ლუარსაბის ნებართვით ჯვარისმტვირთველ დავით ელიოზის ძე გედევანიშვილს უბოძა ერედვში მცხოვრები ყმა თავისი მამულით. 12. 1611 წელი. ყმების შეწირულების წიგნი დედოფალ თამარისა (მეფე ლუარსაბის დედა) სვეტიცხოველისადმი, რათა ელოცათ ლუარსაბის კეთილდღეობისათვის. 13. 1613 წელი. სოფლების თერგისისა და სოლაღაშენის შეწირულების წიგნი მეფე ლუარსაბისა იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიისადმი. შეწირა თავისი დის ხორეშანის ქორწინებასთან დაკავშირებით საკანონოდ (ცოდვის მოსანანიებელი გადასახადი). 14. 1641 წელი. სასახლის გალავნისა და მამულის წყალობის განახლების წიგნი მეფე როსტომისა გორელი ვაჭრის ალიხანა ქიქილასშვილისადმი. განუახლა მეფე ლუარსაბის მიერ გაცემული წყალობა. 15. 1689 წელი. განაჩენი იოთამიშვილებსა და არეშიშვილებს შორის სოფელ ვარხუნის საზღვრებზე დავის შესახებ. შერმადინ იოთამიშვილმა სასამართლოში წარადგინა მეფე ლუარსაბის მიერ დამტკიცებული განაჩენი, რის საფუძველზეც მოხდა სამართლის აღსრულება.

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი გაიზარდა

სოფო ჩიხლაძე

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი გაზრდილია. ექსპერტები ამის მიზეზად

მარცვლეულის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს ასახელებენ. კომიტეტი ხორბლის მოსავლის ყოველთვიურ პროგნოზს აკეთებს. ივლისის თვეში მათ ივნისთან შედარებით პროგნოზი 6 მილიონი ტონით შეამცირეს. მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი გასული ერთი თვის განმავლობაში სტაბილური იყო. უფრო ადრე, მაისის მეორე ნახევარში კი ფასმა აპრილის თვესთან შედარებით 18 პროცენტით მოიმატა და ერთ კვირაში მხოლოდ 4 პროცენტით შემცირდა.

ბოლო თვეებში ხორბლის ფასი, წინასწარი პროგნოზით, ძირითადად მცირდება, რის მიზეზადაც ხორბლის მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებში არსებული არახელსაყრელი კლიმატური პირობები სახელდება.

ივნისში, მაისთან შედარებით, ხორბლის მოსავლის წინასწარი პროგნოზი 5 მილიონი ტონით ნაკლები იყო და 171 მილიონი ტონა შეადგინა. ივლისის თვეში კი, როგორც აღვნიშნეთ, კომიტეტმა პროგნოზი კიდევ 6 მილიონი ტონით შეამცირა. ახლა, 2012-2013 მარკეტინგულ წლებში მსოფლიოს მასშტაბით 165 მილიონი ტომა ხორბლის მოსავლის აღებაა ნავარაუდევი. **"როგორც მარცვლეულის საერთაშორისო კომიტეტის წინასწარ მონაცემებშია აღნიშნული, მოსავლიანობის მხრივ აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში კარგი მდგომარეობაა, თუმცა რუსეთში კლიმატური პირობები ცუდი იყო და სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა პროგნოზის შემცირება. წელს სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეში ბევრად ნაკლები მოსავალი იქნება, ვიდრე ელოდნენ, მაგრამ ის ხარისხობრივად მაღალია. კრასნოდარში 3 მილიონი ტონით ნაკლებ მოსავალს აიღებენ. მინდა გითხრათ, რომ ხორბლის ყოველთვიურ პროგნოზს თავად რუსეთიც აკეთებს. ივნისის დასაწყისში ისინი 94 მილიონი ტონა ხორბლის აღებას გეგმავდნენ, ამ თვის მონაცემებით კი მაჩვენებელი 85 მილიონ ტონამდე შეამცირეს,"** - აცხადებს საქართველოს ხორბლისა და პურ-პროდუქტების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა.

მსოფლიოში ხორბლის მსხვილ, ჩიკაგოსა და პარიზის ბირჟებზე ვაჭრობა ყოველდღიურად მიმდინარეობს. ხორბლის ფასის განსაზღვრისას ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი კლიმატური პირობებია. მოსავლისთვის არახელსაყრელი კლიმატის შემთხვევაში ხორბლის თვითღირებულება იზრდება. ხორბლის ფასის დადგენისას ასევე ყურადღება ექცევა დაბინავებული მოსავლის დარჩენილ მარაგს. ფასებზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებს - მაგალითად, ვალუტის კურსი, ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.

მარცვლეულის საერთაშორისო კომიტეტის წინასწარი პროგნოზის გამოქვეყნებამდე ჩიკაგოს ბირჟაზე ერთი ტონა ხორბალი 283 დოლარი ღირდა, პარიზში - 295 დოლარი. პროგნოზის გაცხადების შემდეგ კი ტონა ხორბალი ჩიკაგოში - 6 დოლარით, პარიზში -თითქმის 10 დოლარით გაძვირდა. **"როდესაც ხორბლის მოსავლის ყოველთვიური პროგნოზი მცირდება, ბირჟებზე პირველი რეაქცია ყოველთვის ასეთია. ფასი იზრდება, თუმცა შემდეგ ნელ-ნელა სტაბილურდება. თუ რაიმე დიდი კატაკლიზმები არ მოხდა, ეს ფასი თვის განმავლობაში შენარჩუნდება,"** - გვითხრა ლევან სილაგავამ.

ხორბლის მსხვილი მწარმოებელი ქვეყნები არიან: აშშ, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, რუსეთი, ყაზახეთი და უკრაინა. წინასწარი პროგნოზით, წელს ამ ქვეყნებში მოსავალი გასულ წელთან შედარებით ნაკლები იქნება, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, არა ისეთი მცირე, რომ ხორბლის საერთაშორისო ფასზე დიდი გავლენა მოახდინოს.

საქართველო წლის მანძილზე 800 ათას ტონამდე ხორბალს მოიხმარს, მისი უდიდესი ნაწილი, 85-90 პროცენტი კი იმპორტირებულია; შესაბამისად, ქვეყანაში პურ-პროდუქტების ფასზე ხორბლის საერთაშორისო ტარიფი პირდაპირ გავლენას ახდენს, თუმცა მსოფლიო ტენდენციის მიუხედავად, ქართველი სპეციალისტები აცხადებენ, რომ მინიმუმ სექტემბრამდე საქართველოში პურ-პროდუქტებზე ფასის მატება მოსალოდნელი არ არის.

საქართველო წლების მანძილზე, ძირითადად, რუსულ, უკრაინულ და ყაზახურ ხორბალს მოიხმარდა. აპრილის შუა რიცხვებამდე რუსული და ყაზახური ხორბლის იმპორტს ახორციელებდა. ბოლო თვენახევრის განმავლობაში კი ქართულ ბაზარზე მხოლოდ ყაზახური ხორბალი შემოდის.

აღსანიშნავია, რომ ხორბლის მარკეტინგული წელი პირველ ივნისს მთავრდება. 1011-2012 მარკეტინგულ წელს კი მსოფლიოში და, მათ შორის, იმ ქვეყნებში, საიდანაც ძირითადად ქართული ბაზარი მარაგდება, საკმაოდ მაღალი მოსავალი იყო.

მოსავლის აღებას ყაზახეთი სექტემბერში იწყებს. ქვეყანას გასული წლის მოსავალი კიდევ დარჩენილი აქვს და ვინაიდან დიდი მარაგებისთვის შესაბამისი ელევატორები არ გააჩნიათ, იძულებულნი არიან, ძველი ხორბალი გაყიდონ და ახალი მოსავლის დასაბინავებლად მოემზადონ. **"ახლა ყაზახეთს ექსპორტზე კიდევ მილიონ-ნახევარი ტონა ხორბლის გატანა შეუძლია. ეს გვაძლევს საშუალებას, რომ ყაზახეთიდან ხორბალი უახლოესი თვეების განმავლობაში ისევ იმ ფასად მივიღოთ, რა თანხასაც ახლა ვიხდით. საქართველოს საზღვრამდე მოტანილი ყაზახური ხორბლის ფასი 260-270 დოლარია. ეს საკმაოდ კარგი ფასია. ყაზახები აცხადებენ, რომ მსოფლიო ტენდენციის მიუხედავად, ისინი ფასის გაზრდას არ აპირებენ, რადგანაც შესანახ ელევატორებს ათავისუფლებენ, რომ სექტემბრისთვის ახალი მოსავალი დააბინაონ. სექტემბრიდან კი ყაზახური ხირბლის ფასი, ალბათ, მსოფლიო ფასს გაუთანაბრდება... რაც შეეხება რუსული ხორბლის ფასს, იქ დღეისათვის ხორბლის სასტარტო ტარიფი 300-320 დოლარს შეადგენს. ამას ემატება ტრანსპორტირების ხარჯები. მინდა გითხრათ, რომ ყაზახური ხორბალი ხარისხით რუსულს არ ჩამოუვარდება,"** - ამბობს ლევან სილაგავა.

ექსპერტების განცხადებით, საქართველოში პურ-პროდუქტების გაძვირებაზე საუბარი მას შემდეგ შეიძლება დაიწყოს, თუკი ტომარა ფქვილის ფასი 40 ლარს გადასცდება, თუმცა, მათივე თქმით, ახლა ამის საშიშროება არ არის.

დღეისათვის ქართულ წისქვილ-კომბინატებში დამუშავებული პირველი ხარისხის ერთი ტომარა (50-კილოგრამიანი) ფქვილის ფასი 30-დან 33 ლარამდე მერყეობს. ის ბოლო პერიოდში არ გაზრდილა. ფქვილის ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ტექნოლოგიით არის დამუშავებული და სად ყიდულობს მომხმარებელი. **"მინდა გითხრათ, რომ ერთი ტომარა ფქვილის 7-10 ლარით გაძვირება უახლოეს პერიოდში, მინიმუმ სექტემბრამდე მოსალოდნელი არ არის. 7-10 ლარი საკმაოდ დიდი ციფრია, ასე რომ, ტომარა ფქვილის გაძვირების შიში არ უნდა გვქონდეს. საქართველომ 300-320 ლარადაც რომ შეისყიდოს ერთი ტონა ხორბალი, ეს ტომარა ფქვილის გაძვირებას არ გამოიწვევს,"** - აცხადებს საქართველოს ხორბლისა და პურ-პროდუქტების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

ქართულ ხორბალს რაც შეეხება, წელს 100-120 ათასი ტონა ხორბლის აღებაა ნავარაუდევი. მოსავლის აღება 2 კვირის წინ დაიწყო და სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდება. იმპორტის სახით კი ქვეყანაში 650 ათას ტონამდე ხორბალი შემოდის.

ამჟამად ქართული ბაზარი დღიურად 1500 ტონა ფქვილს მოიხმარს, თუმცა ადგილობრივი წისქვილკომბინატების სიმძლავრე ორჯერ მეტია. ქართულ წისქვილკომბინატებში ახლა არსებული ხორბლის მარაგი თვე-ნახევარზეა გათვლილი.

საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პრეზენტაცია ირანში

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების ადგილზე გაცნობის მიზნით, ირანული მხარის გადაწყვეტილებით, ირანული კომპანიების რამდენიმე ჯგუფი ეტაპობრივად ჩამოვა საქართველოში. პირველი ჯგუფი იმ ირანული კომპანიებით დაკომპლექტდება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებით. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული რამდენიმე დღის წინ, ირანის ქალაქ მეშჰედში გამართულ საქართველოს საელჩოს, ადგილობრივი ხელისუფლების, სავაჭრო-სამრეწველო და კოოპერაციულ გაერთიანებათა პალატების შეხვედრაზე. მეშჰედში საქართველოს ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის წარმომადგენლობითი პრეზენტაცია გამართა, რომელსაც გუბერნატორის ადმინისტრაციის, მეშჰედის მერიის, სავაჭრო-სამრეწველო და კოოპერაციულ გაერთიანებათა პალატების ხელმძღვანელები და 200-მდე ადგილობრივი მეწარმე დაესწრო.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა საქართველოს ეკონომიკური და საინვესტიციო პოტენციალის ამსახველი ვიდეოკლიპები, დარიგდა ბროშურები. დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში ბიზნესსაქმიანობისა და ინვესტირებისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობების და არსებული საინვესტიციო პროექტების შესახებ.

ამასთან, 29 ივნისს ირანული ავიაკომპანია "Ata Airlines"-ის მიერ განხორციელდა პირველი პირდაპირი საჰაერო რეისი მეშჰედიდან თბილისის მიმართულებით. აღნიშნული რეისი ზაფხულის განმავლობაში კვირაში ერთხელ შესრულდება. პირველი რეისით "მეშჰედი-თბილისი" საქართველოში 100-მდე ირანელი ტურისტი უკვე გაემგზავრა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს საქართველომ ირანთან სავიზო რეჟიმი გააუქმა და ინტერესიც ამის შემდეგ გაჩნდა. კერძოდ, გაიზარდა ირანული ინვესტიციები უძრავ ქონებაში და საცალო ვაჭრობის, ტურიზმის, ტრანსპორტისა და რესტორნების ბიზნესში ერთობლივი საწარმოები შეიქმნა. მართალია, ირანული ინვესტიციების მოცულობა საქართველოს ძირითადი ინვესტორი ქვეყნების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, თუმცა ზრდა თვალშისაცემია. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 247 ათასი დოლარის ირანული ინვესტიცია განხორციელდა, რაც 2011 წლის მთლიან მონაცემს მნიშვნელოვნად აღემატება. ამავდროულად, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება ირანელი ტურისტების რიცხვი.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2012 წლის პირველ სამ თვეში საქართველოს ირანის 13600 მოქალაქე ესტუმრა, რაც 91 პროცენტით აღემატება წინა წლების ანალოგიური პერიოდების მაჩვენებლებს.

2012 წლის პირველ ნახევარში კი საქართველოში, საერთო ჯამში, 9 000 ირანელი ტურისტი ეწვია, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან მიმართებაში ორჯერ მეტია.

თვითონ ირანელი ტურისტების აზრი საქართველოზე სხვადასხვაგვარია. ზოგი ამბობს, რომ საქართველო - ევროპაა და აქ საქმეები ადვილად გვარდება, ხოლო მეორე ნაწილი ბანკების მხრიდან უყურადღებობასა და შეზღუდვებზე საუბრობს.

ირანული კომპანიები საქართველოს ბიზნესგარემოს დადებითად აფასებენ. რაც შეეხება საქართველოსა და ირანს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკას, ის შემდეგნაირად გამოიყურება: ირანის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2010 წელს თავის პიკს მიაღწია და 1,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა - ხუთჯერ მეტი, ვიდრე 2009 წელს, თუმცა ამერიკული ინვესტიციების მოცულობაზე 29-ჯერ ნაკლები; იმპორტის მოცულობა 2011 წელს, როდესაც საქართველოსა და ირანის მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმი გაუქმდა, გაიზარდა 10 მილიონი აშშ დოლარით, მიაღწია 65 მილიონ აშშ დოლარს, მაგრამ ექსპორტმა მხოლოდ 16,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველო-ირანის სავაჭრო ბრუნვამ 2012 წლის იანვარ-აპრილში 22,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტმა - 1,6 მილიონი აშშ დოლარი, იმპორტმა კი - 21 მილიონი აშშ დოლარი. გასულ წელს ექსპორტი - 16,2 მილიონ აშშ დოლარზე, იმპორტი კი 64,8 მილიონ აშშ დოლარზე დაფიქსირდა.

საინტერესოა ევროპული გამოცემა BNE-ს მიერ გამოქვეყნებული მასალა, სადაც ნათქვამია, რომ "თბილისის გახსნილმა პოლიტიკამ ირანთან მიმართებაში, შესაძლებელია, უსაფრთხოების რისკები გაზარდოს. საქართველოს ინტერესების დაბალანსება უხდება, რადგან ირანულ კომპანიებზე სანქციების დაწესების ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ-ა. საერთაშორისო სანქციები ძირითადად ირანულ ბანკებს და ენერგეტიკულ კომპანიებს შეეხო, ამიტომ უახლოეს პერიოდში სწორედ მათი გააქტიურებაა მოსალოდნელი."

აღსანიშნავია, რომ ირანული კომპანიების მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესი მიმდინარე წლის მაისში ქართულ და ირანულ სავაჭრო პალატებს შორის გამართულ შეხვედრაზეც გამოითქვა. მაშინ ირანული კომპანიები ტრანსპორტის, წარმოების, სოფლის მეურნეობის და საბანკო სექტორში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდნენ.

ვინ მიდის ფაჩულიასთან?

პირველი გვერდიდან

"ატლანტაში" დენი ფერი მივიდა. კარგი მოთამაშე, კარგი ფუნქციონერი და სასიამოვნო მოსაუბრე. "ჰოქსის" ორგანიზაციამ დენის გენერალური მენეჯერის პიჯაკი ათხოვა და თუ მისტერ ფერი შედეგს მოიტანს, ჯიბის ფულად რამდენიმე მილიონ დოლარსაც დაუტოვებენ.

ადრე, ლებრონის დროს, ფერი "კლივლენდის" გენერალური მენეჯერი იყო. შვიდი წლის წინ რამდენიმე საინტერესო და მოქნილი ტრანსფერი განახორციელა. გუნდმა გახსნა ბანკი და მრავალწლიანი კონტრაქტებით დაიტოვა, დაიმატა, წამოიყვანა ჟიდრუნას ილგაუსკასი, დონიელ მარშალი და ლარი ჰიუზი. ილგაუსკასი კლივლენდში პოპულარული ბიჭი იყო და ლიტველი გიგანტის იმპოტენცია სიყვარულით გადაიფარა. დონი მარშალი იმ მომენტში მეექვსე კაცია და ფერისგან პირველი ხუთეულის ლიდერის ხელფასს იღებს. დენიმ აქ შეცდომა დაუშვა. ლარი ჰიუზი ცუდი გუნდის ცუდი ალენ აივერსონი იყო. ჰიუზმა ჯანმრთელი გუნდი მოწამლა. ჰიუზთან ერთად "კლივლენდი" შეიცვალა. გუნდური გუნდი დაიშალა. ფერის პიჯაკი წაართვეს, რბილი სავარძელი გამოაცალეს, "სექსი პლაჟზე" არ შეარგეს და გააგდეს. დენი დაბრუნდა სან ანტონიოში, გრეგ პოპოვიჩთან. დღეს დენი ატლანტაში ახალ "ატლანტას" კრავს.

"ატლანტამ" გაუშვა ჯო ჯონსონი და ბევრი მილიონი დოლარი დაზოგა. მისტერ ჯონსონი მიდის "ბრუკლინში" მიხაილ პროხოროვთან. "ჰოქსში" დაიძრა პატარა ურემი, რომელზეც ენტონი მოროუ, ჯორდან ფარმარი, დეშონ სტივენსონი, იოჰან პეტრო და ჯორდან უილიამსი შეაგდეს. "ატლანტამ" ნორმალური ბიჭები მიიღო და პროხოროვმა რეალური ჰიტმენი დაირტყა. ცოტა გაცვეთილი და მოხუცი (31), მაგრამ მაინც შემსრულებელი.

ჯონსონმა ბრუკლინში მიმდინარე კონტრაქტი წაიღო. პროხოროვის შტაბმა მსროლელს შემდეგ ოთხ სეზონში 90 მილიონი დოლარი უნდა გადაურიცხოს. შთამბეჭდავი კუშია. ჯონსონისთვის შთამბეჭდავი. "ატლანტა" უჯონსონოდ უფრო მოქნილი სატრანსფერო მანქანა გახდა. დენი ფერიმ კიდევ ერთი ტრანსფერი მოაგვარა - "ატლანტამ" ფორვარდი მარვინ უილიამსი "იუტას" მისცა და კარგი ფლეიმეიქერი, დევინ ჰარისი მიიღო. სტანდარტული, კლასიკური გაცვლა. სტანდარტული, უინტერესო პერსპექტივით. უილიამსი "ჰოქსში" ბალასტი იყო და ჰარისმა ძირითადი პირველი ნომერი, ჯეფ ტიგი უნდა დაასვენოს. ფერიმ პროცესში მოიგო - ჰარისს მიმდინარე კონტრაქტით ერთ სეზონში 8.5 მილიონი აქვს ასაღები. უილიამსი ორწლიანი ბიჭია, რომელიც გუნდის საბანკო ანგარიშს 15.8 მილიონი დოლარით შეამსუბუქებდა. კარგი გაცვლაა.

"ატლანტამ" ჯო ჯონსონი გაცვალა

ჯონსონით და დერონ უილიამსის ახალი, ასმილიონიანი კონტრაქტით, "ბრუკლინი" დუაიტ ჰოვარდზე ვერ იჩალიჩებს. ყოველ შემთხვევაში, ძალიან გაუჭირდება.

ჰოვარდის თემა აქტუალურია ატლანტაში. შემდეგ სეზონში გუნდს საბანკო ანგარიშზე დაახლოებით 24 მილიონი დოლარი ექნება. თავისუფალი, დასახარჯი 24 მილიონი. ჰოვარდი ერთ სეზონში დაახლოებით 27 მილიონს ითხოვს. დუაიტი 27 მილიონი არ ღირს და ითხოვს. უცენტრო ლიგაში ჰოვარდი უილტ ჩემბერლენი, ქარიმი, შაკი და ბილ რასელია. "ატლანტამ" უნდა გარისკოს და ჰოვარდს ყველაფერი მისცეს, რასაც დუაიტი მოითხოვს. პროცესში, თუ "ორლანდომ" გაცვლა მოითხოვა, "ატლანტას" ჰოვარდში გემრიელ ტვიქსს გაცვლის - ფორვარდ/ცენტრი ალ ჰორფორდი და პირველი ნომერი ჯეფ ტიგი. "ორლანდოსთვის" ნორმალური ვარიანტი.

პარალელურად, "ბრუკლინმა" 40 მილიონით დაიტოვა ჯერალდ უოლასი. 50 მილიონს გუნდი ბრუქ ლოპესში გადაიხდის. ლოპესი ვერ ქაჩავს ჰოვარდამდე და მაინც ნორმალური, მოქნილი ცენტრია. ცოტას ხსნის, საერთოდ ვერავის ვერ უფარებს და უნდა ითამაშოს. "ბრუკლინი" საინტერესო ბენდი იქნება. ვიღაცამ სოლო უნდა შეუბეროს და სოლოისტი დერონ უილიამსი იქნება. დერონი უფრო საქსოფონისტი იქნება. პროხოროვის კოტონ ქლაბში კარგი ჯაზი წავა.

ეს "ატლანტაც" ადრე, შვიდი წლის წინ მოიყვანეს აზრზე. 2005-ში დენი ფერიმ ლებრონ ჯეიმსს ძვირი ბალასტი აჩუქა. 2005-ში "ატლანტამ" "ფინიქსიდან" ჯო ჯონსონი წამოიყვანა და ჯეკპოტი მოხსნა. იდეაში, უნდა მოეხსნა და რეალურად გუნდმა ბევრი მილიონი დოლარი და შვიდი სეზონი დაკარგა. ჯონსონი მეორე ეშელონის ვარსკვლავი იყო და კობი ბრაიანტის ხელფასზე იჯდა. უხერხული თემაა. 2005-ში "ატლანტამ" უფრო ცუდი სვლა გააკეთა და დრაფტზე მარვინ უილიამსი აირჩია. იქვე იყო კრის პოლი და "ჰოქსის" ბოსებმა უილიამსს გაუცინეს. უილიამსმა "ჰოქსის" ბოსებს თვალი ჩაუკრა და ერთჯერადმა ბიჭმა მრავალჯერადი კონტრაქტი მიიღო.

"ატლანტაში" ახალი ერა იწყება. ერა მაიკ ბიბის პენსიონერული წუწუნის, ჯონსონის წუწკი ქვითინისა და ჯოშ სმიტის ტრანსფერზე ჭორაობის გარეშე. სმიტი გუნდში რჩება, ნაკლებ სამიანს გაუშვებს და მოუმატებს. ბიჭი ლიდერი იქნება. ალ ჰორფორდთან ერთად. თუ ბოსები და დენი ფერი ჰორფორდს ჰოვარდის ტრანსფერში არ ჩააგდებენ. სმიტი აუცილებლად "ატლანტაში" დარჩება. თუ გუნდი ჯეფ ტიგსაც შეინარჩუნებს, ფლეიმეიქერს შემდეგ სეზონში ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ. სეზონში 7 მილიონად ტიგის დატოვება ნორმალურია.

ახალი "ატლანტა" კარგი გუნდია. უჰოვარდოდ და იმ ბიჭებთან ერთად, ვინც ბოსებმა მოიწონეს. New Hawks.

პატარები - ჯეფ ტიგი, დევინ ჰარისი, ჯონ ჯენკინსი, ჯორდან ფარმარი (რომლის კონტრაქტს გუნდი იყიდის და ჯორდანს გაუშვებენ), ენტონი მოროუ და დეშონ სტივენსონი.

ფორვარდები - ჯოშ სმიტი, ჯორდან უილიამსი, იოჰან პეტრო, აივენ ჯონსონი, მაიკ სკოტი.

ცენტრები - ალ ჰორფორდი, ზაზა ფაჩულია.

"ატლანტას" იდეალური სასტარტო ხუთეული - ჰარისი, ტიგი, სმიტი, ჰორფორდი და ზაზა ფაჩულია. ჰარისი მეორე ნომერზე და ჰორფორდი - მეოთხეზე. ზაზამ იცენტროს და სმიტმა პრობლემები მოაგვაროს. საინტერესო ხუთეულია. რეალურად საინტერესო. შემოვლენ ჯონსონი, მოროუ და ჯენკინსი. ახალი "ატლანტა" უფრო სწრაფი, ერუდირებული კალათბურთით მოიგებს. ზაზაც მეტ წუთს მიიღებს.

თუ ატლანტაში მისტერ ჰოვარდი არ წავა.

"ატლანტაში" რაღაცები შეიცვალა. დიდმა ბოსებმა პერსპექტივაზე ილაპარაკეს და წავიდა გაცვლები. ზაზა ფაჩულიას ატლანტაში ახალი "ატლანტა" დახვდება. ძველზე უკეთესი თუ უარესი, სხვა თემაა. უბრალოდ, ახალი და ამ "ჰოქსის" მომავალში ჩვენი ცენტრიც ჯდება. ზაზა საქართველოს ნაკრებთან ერთად საქმეს გააკეთებს, ბოსნიებს და ლატვიებს წაესპარინგება და მერე რეალური გარჩევები დაიწყება. გარჩევები ამერიკული რესტლინგის ელემენტებით. ერთიერთზე გარჩევები და ფაჩულიამ მეტი დრო უნდა მიიღოს. მიიღებს კიდეც.

მძლეოსნებმა ოლიმპიური დელეგაცია ოფიციალურად გაზარდეს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკი) ლიცენზიანტთა დაფაზე მატებაა. სეოკ-ის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ახვლედიანმა ის ოთხი ლიცენზიანტი წარადგინეს, რომლებიც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებენ.

ასეთები კი არიან სიგრძეზე მხტომელები მაია გოგოლაძე და ბოლესლავ სხირტლაძე, მორბენალი დავით ილარიანი და მაცეი როსევიჩი (ნატურალიზებული პოლონელი სპორტსმენი), რომელიც სპორტულ სიარულში იასპარეზებს.

მართალია, თითოეულმა მათგანმა ლიცენზიები აქამდე მოიპოვეს, მაგრამ ოფიციალურად გუშინ წარადგინეს.

"დამოუკიდებლობის ისტორიაში მძლეოსნობაში ოლიმპიურ თამაშებზე ოთხი სპორტსმენით არასდროს ვყოფილვართ წარმოდგენილი. მართალი გითხრათ, არც ამჯერად ველოდი რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ ფედერაციის კარგმა მუშაობამ შედეგი მოიტანა. თუ ამ ტემპით გაგრძელდება მუშაობა, მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე გაცილებით მეტი მონაწილე გვეყოლება", - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

თავის მხრივ ალექსანდრე ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ერთი წლის წინათ ლონდონის ორ ლიცენზიას გეგმავდნენ. ასე რომ, მიღწეულით, უკმაყოფილების საბაბი არ აქვთ. ეგაა, იქვე დანანებით თქვა, რომ არა უიღბლობა, თავისუფლად შეიძლებოდა დამატებით ორი ლიცენზიანტიც გვყოლოდაო. ფედერაციის პრეზიდენტმა პოლონელ მაცეი როსევიჩთან დაკავშირებით კი ის თქვა, რომ მისგან ლონდონში მინიმუმ ათეულში შესვლას ელიან.

და ბოლოს, საოლიმპიო სეზონის დასრულებამდე მძლეოსნებს დელეგაციის გაზრდის ერთი შანსიც აქვთ - 6-7 ივლისს ლატვიაში სალონდონო ნორმატივის შესრულებას ზურაბ გოგოჭური (სიმაღლეზე ხტომა) და ლაშა ღულელაური (სამხტომი) შეეცდებიან.

დღევანდელი მონაცემებით ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრები 35 სპორტსმენით იასპარეზებს (პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრები ასევე 35 სპორტსმენს ითვლიდა).

განსაკუთრებული კასილასი

ყველა, ვისაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში "ფურია როხას" თამაში უნახავს, იტყვის, რომ ესპანეთის ნაკრები ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. თუ გავითვალისწინებთ ადამიანის, განსაკუთრებით კი სპორტსმენების ბუნებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები ამპარტავანი და ნარცისიზმით შეპყრობილი ხალხია. თუ ეს ასეა, გასაკვირი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი კვირაც არ გასულა, რაც ამ გუნდის ფეხბურთელებმა ზედიზედ მეორედ მოიგეს ევროპის ჩემპიონატი და ამ ორ ტრიუმფს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიგეს.

მაგრამ არა, ნარცისიზმი და ამპარტავნება ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებისთვის უცხოა. ყოველ შემთხვევაში, "ფურია როხას" კაპიტანი იკერ კასილასი, რომელსაც კარიერის განმავლობაში ყველა შესაძლო ტიტული აქვს მოგებული, ამისგან შორს დგას და, დიდ ფეხბურთელთან ერთად, დიდი პიროვნებაც ყოფილა.

კვირას, ესპანეთ-იტალიის მატჩის მიწურულს, როდესაც ანგარიში უკვე 4:0 იყო ესპანელთა სასარგებლოდ და იტალიელთათვის მინდორზე გატარებული ყოველი წუთი წამებად იქცა, კასილასი მატჩის ერთ-ერთ არბიტრთან მივიდა და სთხოვა, რომ მსაჯებს პატივი ეცათ იტალიის ნაკრებისთვის და მატჩისთვის დრო აღარ დაემატებინათ.

დაეხმარება თუ არა ფედერერი მოშიმშილეებს

მოშიმშილეთა დახმარების ოქსფორდის კომიტეტი შესაძლოა 100 ათასი გირვანქით გამდიდრდეს, თუ ქველმოქმედი მეფსონის მიერ 2003 წელს დადებული ფსონი გამართლდება. 2003 წელს ოქსფორდში მცხოვრებმა ნიკ ნიულაიფმა ტოტალიზატორში 1,5 ათასი გირვანქა დადო იმაზე, რომ 2019 წლისთვის როჯერ ფედერერს უიმბლოდნის ტურნირი შვიდჯერ ექნებოდა მოგებული. მაშინ ამ ფსონზე კოეფიციენტი 1-66-თან იყო.

თავად ნიულაიფი 2009 წელს 59 წლის ასაკში გარდაიცვალა და თავისი ფსონი მოშიმშილეთა დახმარების ოქსფორდის კომიტეტს უანდერძა. "მთელი კომიტეტი ფედერერს გულშემატკივრობს", - განაცხადა ხსენებული კომიტეტის წარმომადგენელმა. "ეს იყო უნიკალური ფსონი. ეჭვი მეპარება, რომ ასეთი რამ უახლოეს პერიოდში კიდევ ვიხილოთ. თავად ფედერერმა ამ ისტორიის შესახებ უკვე ყველაფერი იცის", - ამბობს გრემ შარპი, რომელმაც თავის დროზე ხსენებული ფსონი მიიღო. შეგახსენებთ, რომ როჯერ ფედერერს უკვე 6-ჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი. გუშინ როჯერი უიმბლდონის მეოთხედფინალში რუს მიხაილ იუჟნის შეხვდა.

ესპანეთი პირველია, საქართველო - 97-ე

გამოქვეყნდა ფიფა კოკა-კოლას ივლისის რეიტინგი, რომელშიც საქართველოს ნაკრები 97-ე ადგილს იკავებს. 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შეასრჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს ესპანეთის, საფრანგეთის, ფინეთისა და ბელარუსის გუნდების წინააღმდეგ მოუწევს თამაში. ოთხივე გუნდი რეიტინგში ჩვენს წინაა. ესპანელები კი, ვისთანაც 11 სექტემბერს თბილისში გვაქვს მატჩი გასამართი, დამაჯერებლად ლიდერობენ რეიტინგს.

1.ესპანეთი - 1691	2.გერმანია - 1502
3.ურუგვაი - 1297	4.ინგლისი - 1294
5.პორტუგალია - 1213	6.იტალია - 1192
7.არგენტინა - 1095	8.ჰოლანდია - 1079
9.ხორვატია - 1050	10.დანია - 1017
11.ბრაზილია - 1012	12.საბერძნეთი - 1003
13.რუსეთი - 981	14.საფრანგეთი - 980
15.ჩილე - 961	16.კოტ დ'ივუარი - 939
17.შვედეთი - 909	18.ჩეხეთი - 854
19.მექსიკა - 832	20.იაპონია - 829
74.ფინეთი - 458	77.ბელარუსი - 447
97.საქართველო - 357	

დი ნატალე "უდინეზეში" რჩება

იტალიის ნაკრების თავდამსხმელმა ანტონიო დი ნატალემ "უდინეზესთან" ხელშეკრულება გააგრძელა. ახალი შეთანხმებით, დი ნატალე კლუბში დარჩება 2014 წლის 30 ივნისამდე. ამჟამინდელი ხელშეკრულება კი მომავალი სეზონის ბოლომდე იყო გათვალისწინებული.

ამპუტანტ-მორბენალს ოლიმპიურ ესტაფეტაზე ელიან

სამხრეთაფრიკელი ოსკარ პისტორიუსი პირველი ამპუტანტ-მორბენალია, რომელსაც ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის საშუალება მიეცემა. სამხრეთ აფრიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გუშინდელი გადაწყვეტილებით პისტორიუსი ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის 4X400 მეტრზე საესტაფეტო განაცხადში შევიდა.

"ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები მიდგას. ლონდონში ვიასპარეზებ როგორც ოლიმპიურ ისე პარალიმპიურ თამაშებზე! ყველას დიდი მადლობა, ვინც ასეთ სპორსტმენად ჩამომაყალიბა. ღმერთის, ოჯახის, მეგობრების, მეტოქეების თუ მხარდამჭერების ყველას მადლობელი ვარ", - "ტვიტერში" ემოციებს ვერ ფარავდა ოსკარ პისტორიუსი, რომელიც საასპარეზოდ პლასტიკური პროთეზის კიდურებს იყენებს.

25 წლის პისტორიუს ჰქონდა მცდელობა პირად პირველობებშიც ეასპარეზა, მაგრამ ოლიმპიური ნორმატივი ვერ შეასრულა.

შარშან ტეგუს (კორეა) მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის საესტაფეტო ნაკრებმა პისტორიუსის გარეშე 4X400 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლები და იმავდროულად ოლიმპიური ლიცენზიაც დაისაკუთრა. მართალია ოსკარს ფინალურ გარბენში არ უასარეზია, მაგრამ უმედლოდ მაინც არ დარჩენილა - ვერცხლის მედალი საკვალიფიკაციო გარბენში მონაწილეობისთვის მასაც ერგო.

გულშემატკივრებისგან "სამართებლის პირზე მორბენლად" მონათლული ოსკარი წლეულს "ლორეუსის" სპორტის მსოფლიო აკადემიამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

"მეტალურგი" ევროკამპანიას ალბანური ბარიერით იწყებს

მიხეილ აბაიშვილი

ქუთაისის "ტორპედო" ყაზახეთის "აქტობესთან" შესახვედრად მზადაა

დღეს ორი ქართული კლუბი აიღებს სტარტს უეფას ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში: ქუთაისის "ტორპედო" საკუთარ სტადიონზე ყაზახეთის "აქტობეს" უმასპინძლებს, ხოლო რუსთავის "მეტალურგი" სტუმრად ეთამაშება ალბანეთის "ტეუტას". "24 საათმა" გუშინდელ გამოცემაში უკვე წარმოგიდგინათ ქუთაისის "ტორპედო" და გაგაცნოთ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის, გია გეგუჩაძის წინასამატჩო კომენტარები. დღეს რუსთაველთა წინასასეზონო სამზადისზე მოგაწვდით ინფორმაციას.

"მეტალურგმა" ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გაიარა სლოვენიაში, სადაც რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩაატარა. პირველ საკონტროლო ტესტ-მატჩში კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა სლოვენიის ვიცეჩემპიონი და ყველაზე პოპულარული გუნდი, ლუბლიანის "ოლიმპია" დაამარცხეს მინიმალური ანგარიშით - 1:0. გოლი რუსთაველთა კაპიტანმა გივი კვარაცხელიამ, კუთხურიდან გათამაშების შემდეგ, თავური დარტყმით გაიტანა.

ასეთივე წარმატებული ვერ გამოდგა დარჩენილი ორი სპარინგი. მეორე შეხვედრაში "მეტალურგი" ხორვატიის უმაღლესლიგელ "რეიკასთან" მინიმალური სხვაობით - 0:1 დამარცხდა. დასკვნით სპარინგშიც, რომელიც რუსთავულმა კლუბმა უკრაინის უმაღლესი ლიგის ბინადარ "ვორსკლასთან" ჩაატარა, ანალოგიური ანგარიში აღინიშნა, თუმცა, ეს ტესტ-მატჩები "მეტალურგმა" ორჯერადი ინტენსიური ვარჯიშით გამოწვეული ფიზიკური გადატვირთვისა და დაღლილობის ფონზე ჩაატარა.

გუნდი ერთი კვირის წინ დაბრუნდა სამშობლოში და ეს პერიოდი რუსთავში, საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე გაატარა, ხოლო გუშინ თბილისი-სტამბოლი-ტირანას ავიარეისით ალბანეთში გაემგზავრა. კობა ჟორჟიკაშვილმა "ტეუტასთან" გასვლით მატჩზე წაიყვანა:

მეკარეები - გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი

მცველები - გივი კვარაცხელია, მიხეილ მახვილაძე, გიორგი გავაშელიშვილი, ზვიად ლობჟანიძე, ანზორ სუხიაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, თორნიკე კაკუშაძე

ნახევარდაცვა - ლუკა რაზმაძე, დენის დობროვოლსკი, რევაზ გეწაძე, გიორგი თექთუმანიძე, გიორგი მიქაბერიძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი ქავთარაძე

თავდასხმა - ირაკლი სიხარულიძე, დიმიტრი ტატანაშვილი

მატჩისწინა კომენტარში რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა წყვილის ფავორიტად მისი გუნდი მიიჩნია, რაც სავსებით ლოგიკურია.

"ჩვენს პირველ მეტოქე "ტეუტასთან" ფავორიტები ვართ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეტოქეს არ ვაფასებთ. არაერთხელ გვინახავს, თუ როგორი "კერკეტი კაკლები" არიან ალბანური კლუბები და სრული კონცენტრაცია-მობილიზაციაა საჭირო იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ეს ეხება არა მხოლოდ ალბანურ კლუბებს, ზოგადად, თანამედროვე ფეხბურთში ამის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ. ჩვენ მაქსიმალურად მოტივირებული ვართ და ძალიან გვინდა, რომ სატურნირო ბადეში რაც შეიძლება წინ წავიდეთ. ამისთვის კარგი შეკრება გავიარეთ, გამოვცადეთ ახალი ფეხბურთელები, ჩავატარეთ სპარინგები და ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სრულ მზადყოფნაში ვართ. ვეცდებით, ალბანეთში ღირსეული შედეგი ვაჩვენოთ და სამშობლოში მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსით დავბრუნდეთ. კარგია, რომ პირველ მატჩს სტუმრად ჩავატარებთ. მეორე შეხვედრის საკუთარ მოედანზე გამართვა დამატებით, თუმცა, არაგადამწყვეტ უპირატესობას მაინც გვანიჭებს. უკვე ცნობილია, რომ ჩვენს წყვილში გამარჯვებულს მეორე ეტაპზე მეტოქედ ჩეხური "პლზენი" ელის, თუმცა, ამაზე ჯერ არ ვფიქრობთ და კონკრეტულ მეტოქეზე ვართ კონცენტრირებული", - განაცხადა კობა ჟორჟიკაშვილმა.

რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას, ამ თვალსაზრისით "მეტალურგს" რადიკალური ცვლილებები ჯერ არ განუცდია. იყო დაწყებული მოლაპარაკებები თბილისის "დინამოდან" წასულ დავით ოდიკაძესთან, მაგრამ შეთანხმება არ მოხერხდა. ახლა გუნდის ხელმძღვანელობა კონტრაქტის დეტალებს ათანხმებს 22 წლის ხორვატ მეკარესთან, 197 სმ სიმაღლის ივან ბოსმანთან, რომელიც მალე გახდება კლუბის წევრი. კლუბი დატოვა მისმა მმართველმა დირექტორმა, გიორგი ტყავაძემ, რომელიც "მეტალურგის" მენეჯმენტს ერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ტყავაძე მშობლიურ თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა და იქ სპორტული დირექტორის თანამდებობა დაიკავა. "მეტალურგის" მმართველობაში კი მისი პოსტი ჯერჯერობით ვაკანტურია.

შვეიცარიის ალპებმა ხუთი მთამსვლელი იმსხვერპლა

გიგა გურასაშვილი

ლაგინჰორნზე ლაშქრობა ტრაგედიით დასრულდა

შვეიცარიის ალპებში მწვერვალ ლაგინჰორნიდან (4010 მ.) დაშვებისას ხუთი გერმანელი მთამსვლელი დაიღუპა, ექსპედიცია კი ექვსი წევრისგან შედგებოდა.

ის იყო მწვერვალამდე ასიოდე მეტრი რჩებოდა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა თავი შეუძლოდ იგრძნო და გზის გაგრძელებაზე უარის თქმამ მოუწია. დანარჩენმა ხუთმა მარშრუტი გააგრძელა და მწვერვალიც დალაშქრა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო და მწვერვალის დაპყრობას ზეიმობდნენ, რომ დაშვებისას უცაბედად ფერდობიდან მოწყდნენ და რამდენიმე ასეული მეტრ სიღრმის ნაპრალში ჩაიჩეხნენ. მთამსვლელი, რომელიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო გამოეყო ჯგუფს, მაშველებს უხმო. ეგაა, მათ მხოლოდ ის შეძლეს, რომ ხუთი მთამსვლელის სიკვდილი ეცნობებინათ შემთხვევით გადარჩენილი კაცისთვის, რომელიც, როგორც შემდგომ გაირკვა, ორი დაღუპულის მამა ყოფილა.

ტრაგედიის მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია, ვალაის პოლიციის განმარტებით, რომლის რეგიონშიცაა აღმართული ეს ოთხიათასიანი მწვერვალი, მთამსვლელები ერთ თოკში ჩაბმულნი არ უნდა ყოფილიყვნენ.

შვეიცარიული გაზეთის Blick-ის ცნობით, მთამსვლელები შვეიცარიაში ბერლინიდან ჩავიდნენ. ადგილობრივი მაცხოვრებლების მონაყოლით, დაღუპულთა შორის გადარჩენილი მთამსვლელის შვილები 14 წლის გოგო და 20 წლის ბიჭია.

სხვა დაღუპულთა შორის ისაა ცნობილი, რომ ერთ-ერთი მათგანი 44 წლის კაცია, მეორე მისი ვაჟი (17 წლის), ხოლო მესამე მათი 21 წლის მეგობარი.

შვეიცარიის ალპებში დატრიალებული ტრაგედია თავისი მასშტაბებით წლეულს ყველაზე დიდი აღმოჩნდა.

2011 წელს შვეიცარიის მწვერვალებზე თუ უბრალოდ მთებში ლაშქრობებისას 151 ადამიანი დაიღუპა, აქედან 29 მათგანი უცხოელი იყო.

...ლაგინჰორნის მწვერვალზე, რომელზეც პირველი ასვლა განხორციელდა 1856 წლის 26 აგვისტოს, შვეიცარიის ალპების ოთხიათასიან მწვერვალებს შორის ყველაზე პატარაა. მწვერვალი საასის ფერდობზე მდებარეობს იტალიის საზღვრიდან დაახლოებით ათი კილომეტრის დაშორებით. მთამსვლელთა შორის ლაგინჰორნი ნაკლებ სირთულის მწვერვალის სახელით სარგებლობს. მისი უმთავრესი სირთულე თოვლია, რომელიც ასვლას ართულებს.

ცოტა ხნით ადრე 26 ივნისს სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში მწვერვალ ნეჟ-კორდეს ფერდობზე (დაახლოებით 2700 მეტრ სიმაღლეზე) ექვსი მთამსვლელის გვამს მიაგნეს. უჩვეულო კი ისაა, რომ მათ შემთხვევაში სამძებრო საქმიანობა არავის უწარმოებია - დაღუპულ მთამსვლელთა გვამები შემთხვევით აღმოაჩინა ერთ-ერთმა ტურისტმა.

შარშან შვეიცარიის ალპებში ზავამ იმსხვერპლა ასევე ხუთი ადამიანი, სამი კი უგზოუკვლოდ დაიკარგა, ხოლო სამი წლის წინათ მონბლანის (4,810 მ.) მთათა მასივში ჟეანის მყინვარის სიახლოვეს ქალთან და მამაკაცთან ერთად დაიღუპა სნოუბორდის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი (ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები,1998 წ.) და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი სნოუბორდში კარინ რიუბი.

როგორ მოვიგოთ ათი ათასი

პროგნოზისტი ილუზიონისტი

ბრიტანელმა ილუზიონისტმა, რომლის სცენიური ფსევდონიმია "დინამო", ტოტალიზატორ Paddy Power-ს 10 000 გირვანქა მოუგო.

ეს ის ტოტალიზატორია, რომლის რეკლამირებაც ევრო 2012-ზე დანიელმა ფორვარდმა ნიკლას ბენდტნერმა სცადა. პორტუგალიელთა კარში გატანილი გოლის შემდეგ ნიკლასმა შორტი ჩაიწია და მწვანე ტრუსებზე გამოჩნდა წარწერა: Paddy Power. ამის გამო ფეხბურთელი დაისაჯა კიდეც.

ახლა რაც შეეხება ბრიტანელ ილუზიონისტს, რომელმაც 10 000 მოგო. ორი კვირის წინ "დინამო" (მისი ნამდვილი სახელია სტივენ ფრეინი) ტელეკომპანია ITV-ს ერთ-ერთი დილის გადაცემის პირდაპირ ეთერში მივიდა სტუმრად და Paddy Power-ში დადებული ბილეთი დატოვა.

"დინამომ" გამოიცნო ყველა მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის გამარჯვებული, იწინასწარმეტყველა იტალიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდების გამარჯვება პენალტების სერიაში. ბილეთში აგრეთვე ეწერა, რომ ფინალურ მატჩში ესპანეთი იტალიას ჰანდიკაპით დაამარცხებდა.

სტივენმა სულ რაღაც ერთი გირვანქა დადო ფსონად. ამდენი პოზიციის გადაბმის წყალობით კი კოეფიციენტმა ათი ათასს მიაღწია.

ორშაბათს, ფინალური მატჩის მეორე დღეს, "დინამო" კიდევ ერთხელ ესტუმრა იმ სტუდიას და ყველამ ერთად ნახა მისი ბილეთი.

29 წლის ილუზიონისტმა განაცხადა, რომ მოგებულ თანხას მთლიანად ქველმოქმედებას მოახმარს.

"შემიძლია დავადასტურო, რომ "დინამომ" მართლაც გააკეთა ერთგირვანქიანი ფსონი ჩვენს ტოტალიზატორში და 10 000 მოიგო. წარმოუდგენელია. ასეთი რამ არასდროს მომხდარა. პირადად მე ამას სასწაულად ვთვლი", - განაცხადა Paddy Power-ის წარმომადგენელმა ფილიპ შოფილდმა.

სტივენ ფრეინის პროგნოზმა შესაძლოა ბევრი გააკვირვოს, მაგრამ თუ მის ძველ "გმირობებს" გავიხსენებთ, ევრო 2012-ზე ფლეიოფის ეტაპზე ყველა მატჩის შედეგის გამოცნობა განსაკუთრებული არაფერია.

გასული წლის ივნისში 29 წლის "დინამომ" ლონდონში, ბრიტანეთის პარლამენტის შენობის წინ, მდინარე ტემზაზე ფეხით გაიარა. ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი, როდესაც ის პოლიციელებმა დააკავეს. ამ სანახაობას ვესტმინსტერის ხიდიდან ასობით ადამიანი ადევნებდა თვალს.

სტივენს მობილური ტელეფონი გადაუქცევია ლუდით სავსე ბოთლად, ხოლო თოვლი - ბრილიანტებად.